ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

17 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„შავი ვარდი“
3 ლარი




სამშაბათი, 17 სექტემბერი, 2013 №220 (6221) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ველარ დაბრუნდებიან“ გვ.3



ჰესების მშენებლობას გაგებით უნდა მოვეკიდოთ

## სოსო ცისკარიშვილი: გიორგი მარგველაშვილის პიარკამპანიობა მიხეილ სააკაშვილმა იკისრა გვ.2

„ნაციონალები პრეზიდენტის სავარძელზე ვერც ოცნებობენ“



## „ცრუ შეტყობინების ავტორების მიმართ კანონი კიდევ უფრო გამკაცრდება“ გვ.6

## რაზე ვერ შეთანხმდნენ ბიძინა ივანიშვილი და სალომე ზურაბიშვილი გვ.5





## ზურაბ ბიგვავა: „საგანელიძემ „ქართულ ოცნებაში“ თავისი მმართველი გუნდის შექმნა მოინდომა“ გვ.4

„მემარჯვენეები, მრეწველები და ლეიბორისტები განთქმული არიან არჩევნების გაყიდვით“



„მარგველაშვილმა ბენდუქიძე წამებულად შერაცხა“ გვ.6

ეუთო საქართველოში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მზად არის

გვ.3





გვ.6

ნინო ბურჯანაძე ახმეტასა და ყაზბეგში ამომრჩევლებს შეხვდა

მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლება ძალიან დაბალი ტემპით მუშაობს“

გვ.6



გვ.4



ბათუმში დაკავებული ლაკაევი რუსებს შავ სიაში ჰყავდათ შეყვანილი

ISSN 1987-9385
9 771987 938006

7 მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის მშობლებს სტუმრობდა

7 „მაია მიმინოშვილმა პედაგოგებს ბოდიში უნდა მოუხადოს“

10 სირია მიიჩნევს, რომ ლავროვმა და კერიმ რეგიონში ომი აღკვეთეს

7 გიორგი თარგამაძე სასკოლო სახელმძღვანელოებზე საჯარიმო სანქციების გაუქმებას მოითხოვს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალები პრეზიდენტის სავარძელზე ვერც ოცნებობენ“

## გიორგი მარგველაშვილის პიარკამპანიობა მიხეილ სააკაშვილმა იკისრა

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან**

***— ბატონო სოსო, რაც უფრო ცოტა დრო რჩება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, საზოგადოებაში აჟიოტაჟი მით უფრო მატულობს. ასევე ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი დაპირისპირებაა კანდიდატების მომხრეებს შორის. ამ ფონზე თანამდებობიდან მიდის პრემიერიც... რა პროცესებს უნდა ველოდოთ?***

— ძალაუნებურად ვახდენთ შედარებას, შარშანდელი და წლევანდელი ოქტომბრისა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ შარშანდელი წინასაპარლამენტო არჩევნების კამპანია ბევრად უფრო მწვავე და უფრო მაღალი მუხტით დაპირისპირებული იყო კონკურენტებს შორის, ვიდრე ამას დღეს ვხედავთ. შესაძლოა, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ პრაქტიკულად ორი სუბიექტი მონაწილეობდა. ახლა კი მოწმე ვართ, რომ 50-მდე ადამიანი საკუთარ თავს მიიჩნევს ღირსად, რომ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. თუმცა საზოგადოებრივი განწყობა არ არის დამადასტურებელი ასეთი ამბიციების, ჩვენი თანამემამულეების არნახული რაოდენობისა და მოიაზრებს სულ ერთი ხელის თითზე ჩამოსათვლელ რაოდენობას ადამიანებისა, რომელმაც შესაძლოა დაძლიონ 2-3%-იანი ბარიერი. ხოლო ლიდერებად წარმოჩენილნი არიან ბატონი მარგველაშვილი და ქალბატონი ბურჯანაძე. ამიტომ დიდი ალბათობით სწორედ ასეთი შედეგით მივალთ არჩევნების მეორე დღემდე, თუ რაიმე პოლიტიკური ხრიკის მოწმე არ გავხდით ნაციონალებსა და მეოცნებეებს შორის ზეკოაბიტაციური ფორმულის შედეგად.

***— ხრიკებში დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლას გულისხმობთ?***

— ბაქრაძე თავისით ვერსადაც ვერ გავა. დიდი ალბათობით მისი კონკურენტი თარგამაძე უფრო იქნება, ვიდრე მარგველაშვილი ან ბურჯანაძე. ვაითუ ხუთეულშიც ვერ აღმოჩნდეს ბატონი ბაქრაძე, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა გარიდებოდა იმ პოლიტიკური პარტიის წარსულს, რომლის ავ ქმედებებში, თავად მას პრაქტიკულად მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა ვითარება დღეს სულ უფრო მკაფიო ხდება, რატომღაც შიში ისადგურებს როგორც ჩანს, რამდენიმე თვის წინ ცალსახად თავდაჯერებულ მეოცნებეებში, რომ პირველი თუ არა, მეორე ადგილი არჩევნებზე დაიკავოს ქალბატონმა ბურჯანაძემ. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითად მიმაჩნია არნახული თავდასხმა კონსტიტუციის იმ ნაწილზე, რომელიც საერთოდ დაკნინებულ ფუნქციებს პრეზიდენტისა, წარმოაჩენს სრულ არარაობად, იმ ცვლილებებით, რასაც პარლამენტი სთავაზობს დღეს ქვეყანას. ჩვენ თუ მივიღეთ ისეთი ცვლილებები, რომელიც სააკაშვილსაც კი არ დასიზმრებია თავისი პრემიერმინისტრობის მზადების პერიოდში, ვგულისხმობ სრულ უუფლებობას...

***— დიახ, საუბარია, რომ ამ ცვლილებებით, პრეზიდენტი სრულიად უუფლებო და უფუნქციო რჩება...***

— მე არ ვკარგავ იმედს, რომ ამ გაუგებარ ცვლილებებზე მკაფიო კომენტარს გააკეთებს ბატონი პრემიერ-მინისტრი. ეს ცვლილებები პროექტის სახით გამოქვეყნდა მაშინ, როცა ის საზღვარგარეთ მოგზაურობდა. მე და ჩემმა კოლეგებმა ძალიან მკაფიოთ დავიმახსოვრეთ ბატონი პრემიერის პოზიცია, გასულ გაზაფხულზე გამოთქმული, რომ მას არ აწყობს სუსტი უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტი, რადგან ასეთი პირი ვერ დააბალანსებს ძლიერ მთავრობასა და ძლიერ პარლამენტს შორის ურთიერთობას. პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს ბევრად უფრო მეტი უფლებამოსილებები, ვიდრე ეს სააკაშვილის საკონსტიტუციო კომისიის მიერ იქნა განსაზღვრული. დღეს კი საწინააღმდეგო სურათთან გვაქვს საქმე.

***— მაშინ რა მოხდა, რა შეიცვალა?***

— რა მოხდა? მე ამ კითხვაზე პასუხს ველოდები სწორედ ქართული ოცნების ლიდერებისგან. ასეთი რა საფრთხე დაინახეს არჩევნების შედეგთან დაკავშირებით, რომ უცებ აღმოაჩინეს, თურმე პრეზიდენტისთვის განკუთვნილი შენობა მზად არ იქნება ინაუგურაციის შემდეგ კიდევ რამდენიმე თვეს. მანამდე გადაწყვიტეს, რომ არსებულ საპრეზიდენტო სასახლეში პრეზიდენტი არ უნდა შევიდეს. დაივიწყეს, რომ ვანო მერაბიშვილი თავისი პრემიერმინისტრობისთვის არემონტებდა გრიგოლ ორბელიანის სასახლეს და არა მომავალი პრეზიდენტისთვის. ასე რომ, რაღაც შფოთი ნამდვილად სუფევს ქართულ ოცნებაში და არცთუ აუცილებელი თვითდაჯერებულობა იგრძნობა, თუნდაც ისეთი, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებისას გვქონდა სახეზე. მაშინ გვახსოვს, ქართული ოცნების ლიდერები ერთხმად ბრძანებდნენ, რომ პრაქტიკულად არ ეყოლებოდა კონკურენტი ბატონ გიორგის ამ არჩევნებზე და რომ გადაწყვეტილია მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი. ცხადია, ამან გამოიწვია გარკვეული ნიჰილიზმი ჩვენს ამომრჩევლებში. თუ ფუნქცია აღარა აქვს ამომრჩეველს, მაინცდამაინც აღარც ინტერესი დარჩება მონაწილეობისა ამ პროცესში. თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, გიორგი მარგველაშვილის პიარკამპანიობა იკისრა მიხეილ სააკაშვილმა თავისი ყოველდღიური განცხადებებით, რომელიც ნამდვილად შორს არის რეალობისა და ზნეობრიობისგან. მან გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება, კარგად გაახსენა შარშანდელი ოქტომბერიც და იმის წინ არსებული 9 წელიც და სწორედ სააკაშვილი, თავისი გამონათქვამებით, იქნება ის გამაღიზიანებელი ფაქტორი, რომელიც დარაზმავს ამომრჩეველს საარჩევნო ურნებისკენ. პარალელურად არ გამოვრიცხავ, რომ განცხადებები პრემიერ-მინისტრის პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე, რომელიც, ჩემის აზრით, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მათთვის მაინც, ვისაც პირადი საუბარი ჰქონიათ პრემიერ-მინისტრთან...



***— თუმცა ბევრს მაინც არ ეჯერა, რომ ის ასე მალე წავიდოდა...***

— უბრალოდ. ცოტა ნაადრევად გაჟღერდა მისი ეს განცხადება. ამ განცხადების გაკეთება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგაც შესაძლებელი იყო. ვერავინ დააკავებდა მას, რომ გინდა თუ არა, რაღაც ვადა უნდა მოიხადოო. ამ განცხადებებმა, რასაკვირველია, მეტი ხიბლი შესძინა ქალბატონი ბურჯანაძის პოლიტიკურ პერსპექტივას, როგორც უფრო გამოცდილი პოლიტიკოსისას მოსახლეობის სოლიდურ ნაწილში. ასე რომ, ქალბატონ ნინოსაც საკმაოდ ეფექტური ლიდერი აღმოაჩნდა საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიისთვის.

***— ბატონო სოსო, სწორედ ამიტომ ხომ არ არის ასეთი შფოთი კოალიციაში და ამიტომ ხომ არ უნდათ უუფლებოდ დატოვონ მომავალი პრეზიდენტი, რადგან მათ ეშინიათ, ბურჯანაძემ არ გაიმარჯვოს...***

— საკითხის ასე დაყენება მარტივია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს თემა არის კოაბიტაციის კი არა, ჩახუტება-ჩაკოცნის თემა ნაციონალებსა და მეოცნებეებს შორის. ფაქტია, რომ ნაციონალები ვერც ოცნებობენ პრეზიდენტის სავარძელზე, თუმცა თავად ელანდებათ სამომავლოდ პრემიერმინისტრის მაღალი უფლებამოსილებით შემკული თანამდებობა, ოღონდ, ცხადია, არა აქ და არა ახლა. ამიტომ საინტერესოა, ბოლოს და ბოლოს, როგორ განლაგდება პირველი სამეული არჩევნების შემდეგ, რაც კიდევ უფრო მეტ არგუმენტს მოგვცემს საუბრისა, რამდენად დამოუკიდებელი და პირნათელი ძალა მართავს დღეს სახელმწიფოს.

***— ბატონო სოსო, რაც შეეხება პრემიერის წასვლას და მის მემკვიდრეს, ამაზეც ძალიან ბევრს საუბრობს საზოგადოება. მიდის სერიოზული განხილვები, ვისმენთ სხვადასხვა გვარებს სავარაუდო მემკვიდრისა. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის შემდეგ რამდენად ძლიერი პიროვნება უნდა იყოს, რომ ის გამოვიდეს ივანიშვილის ჩრდილისგან და შეძლოს ქვეყნის წარმატებულად მართვა? გეგულებათ ასეთი?***

— არა მგონია, რომ მსოფლიო ისტორიაში არსებობდეს პრეცედენტი, რომ ადამიანი საკუთარ მემკვიდრედ ასახელებდეს მისთვის მიუღებელ პიროვნებას, განსხვავებული აზრის მქონეს და დიდი ალბათობით მასთან დაპირისპირებულს. არც ამ შემთხვევაში გვაქვს მოლოდინი ასეთი რამის. მემკვიდრეებად ინიშნებიან, ან არიან გენეტიკური შთამომავლები, ეს ხდება მონარქისტულ სახელმწიფოებში. ხოლო სხვა მხრივ, კანდიდატების დასახელება ხდება მხოლოდ მხარდასაჭერად, იმ პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ, ვისაც კონსტიტუციით ევალება ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ, ამ შემთხვევაში კანდიდატის დასახელება, უპირობოდ არ უნდა ნიშნავდეს მის თანამდებობაზე დამტკიცებას, თუ იმ დროისათვის იქნება აზრთა სხვადასხვაობა თავად კოალიცია ქართული ოცნების შიგნით. ამავე დროს, რასაკვირველია, ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ სამოქალაქო საზოგადოების ხელთ არსებული რა ბერკეტების დაკავებას აპირებს პრემიერ-მინისტრი. ყოველ შემთხვევაში, არც ამის პრეცედენტი ყოფილა, რომ სამოქალაქო საზოგადოებად წოდებული ნაწილის შემადგენელი პირი ყოფილიყო სრული გავლენის მქონე, პრეზიდენტზე, პარლამენტსა და მთავრობაზე. თუ ასეთი რამის მოწმენი გავხდით სამომავლოდ, რასაკვირველია, პირველი შედეგი ის იქნება, რომ აღმოვჩნდებით გინესის რეკორდების წიგნში. შესაძლოა ასეთი არნახული ფორმულა უფრო სასარგებლო იყოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ამ ეტაპზე, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ქალბატონმა დემოკრატიამ კვლავ ღრმად უნდა ჩაისუნთქოს და ელოდოს უკეთეს მომავალს.

***— კოალიციის შიგნით არსებული აზრთა სხვადასხვაობა ახსენეთ და ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ პრემიერის წასვლის შემდეგ კოალიცია აუცილებლად დაიშლებაო. თქვენ ელით პროცესების ასეთ განვითარებას?***

— მე ვთვლი, რომ პოლიტიკური ძალა, რომელიც პირველი გადადგამს ნაბიჯს კოალიციის დაშლისკენ, უაღრესად წინდაუხედავად მოიქცევა, რადგან ასეთ შემთხვევაში ის მოისაკლისებს ძირითად კომპონენტს შედეგების შემქმნელებს შორი. ანუ სრულ იგნორირებას გაუწევს ასეთი ნაბიჯით საქართველოს მოსახლეობას, ჩვენი ქვეყნის ამომრჩეველს. ის არა მარტო რაიმე ახალ ნიშას დაიკავებს ქართულ პოლიტიკაში, არამედ უმალ ხალხის ზიზღით გაჯერდება მისი ყოველი ნაბიჯი იმ რეალობისთვის, რომელიც დაემუქრება საქართველოს პარლამენტარიზმს ამ ეტაპზე.

***— თქვენ თუ ხედავთ იმ საფრთხეს, რომ მართლაც შეიქმნას ახალი უმრავლესობა პარლამენტს შიგნით?***

— თეორიულად ყველაფერი დასაშვებია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩემთვის არცთუ მკაფიო მიზეზების გამო, დღევანდელი ხელისუფლება აგრეთვე ძალიან დიდ შიშს გრძნობს ვადამდელი არჩევნების თემის მიმართაც კი, არათუ რაიმე დისკუსიის მომხრე იყოს ამ თემაზე. საერთოდ ტერმინი იმდენ დისკომფორტს უქმნის ახალ ხელისუფლებას, რომ ამაზე მსჯელობა ლამის ქვეყნის ღალატად აღიქვან.

***— თუმცა ბევრს მსჯელობს ამაზე საზოგადოება და გარეთ დარჩენილი ოპოზიციური ძალები. როგორ ფიქრობთ, რამდენად დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი, მათი კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად?***

— მაშინ უპრიანი იქნებოდა, ქვეყანაში გამართულიყო რეფერენდუმი ერთი შეკითხვით — თვლით თუ არა, რომ დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობა ასახავს საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალების ადეკვატურ რეალობას? მე ვშიშობ, რომ მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის მხრიდან იქნება დადებითი პასუხი, რომ დიახ, ეს არის რეალობა. აი, აქ კი სრული დაპირისპირება იქნება იმ ამომრჩევლების პოზიციასთან, რომლის წყალობითაც დღევანდელი ხელისუფლება სრულიად სამართლიანად, დროულად და ომახიანად მოვიდა ხელისუფლებაში. ამიტომ პარლამენტში არსებობა, თითქმის მისი შემადგენლობის ნახევრით, იმ პოლიტიკური ძალისა, რომელიც კატეგორიულად უარყოფილია მოსახლეობის მიერ, რასაკვირველია, საკმაო მძიმე დაღს ამჩნევს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას და ქვეყანას ამყოფებს სრულიად გაუაზრებელ ორხელისუფლებიანობის რეჟიმში. იმ პიროებებში, როდესაც არც ერთი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი პარლამენტში არ საქმიანობს. თუ ერთი ორი ადამიანი გამოეყოფა სახელისუფლო კოალიციას, ეს არ ნიშნავს, რომ ის საკუთარი პარტიის მიერ წარდგენილია პარლამენტში. თუმცა ასეთების არსებობაც გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნის ორივე სახელისუფლო გუნდს. მოლოდინი ემყარება იმას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისეთი რიხიანი აღარ იქნება არალეგიტიმური ხელისუფლება, როგორიც დღეს. თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რომ გავლენები შეუმცირდეს ნაციონალურ მოძრაობას, რადგან მათი ბერკეტი არის, უპირველეს ყოვლისა, პირადი დისკრედიტაციის ინსტრუმენტები მოსამართლეთა დიდ რაოდენობაზე, პროკურორების დიდ რაოდენობაზე, დიპლომატებზე, საბანკო სისტემის თანამშრომლებზე და ასე შემდეგ.

***— ესე იგი კომპრომატი კიდევ ბევრია?***

— ანუ ჩვენ კი ვწვავთ რაღაც ფირებს, მაგრამ რა ხდება ნაციონალური მოძრაობის ლიდერების პირად სეიფებში, ჩვენთვის უცნობია. თუმცა კარგად არის ცნობილი იმ არაერთხელ დაშანტაჟებული პირებისთვის, რომლებიც ნებისმიერ განაჩენს, ნებისმიერ ბრალდებას, ან პირუკუ ნებისმიერ გამართლებას დამნაშავეებისა, სწორედ ამ ბერკეტების შიშით აფორმებდნენ წლების განმავლობაში. ასევე იქნება სხვა პროფესიის ადამიანებთანაც. ამიტომ, როდესაც რაღაცას ვწვავთ, უნდა მკაფიო ინფორმაცია გვქონდეს, რა ხდება იმ უწყებებში, ვისაც აგრეთვე კანონით აქვს მინიჭებული ფარული ჩანაწერის გაკეთება. ასეთი შინაგან საქმეთა სამინისტროში ხუთი-ექვსი გახლავთ. აი, ამ ორგანიზაციებში, თუნდაც იგივე პროკურატურის, ფინანსური პოლიციის, სამხედრო დაზვერვის, საბაჟოსი, დაზვერვის დეპარტამენტის სანახებში რა ხდება? რამდენად თავისუფალნი იქნებიან საქართველოს მოქალაქეები ბარბაროსული შანტაჟისაგან, იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს მოინანიონ მათ საკუთარი ცოდვები და შეძლონ, დაიწყონ სასარგებლო ცხოვრება.

***— იმედია, დალაგდება ვითარება და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სერიოზული ქაოსის წინაშე არ აღმოვჩნდებით...***

— ამის დიდი იმედი მეც მაქვს, რადგან ჩვენმა საზოგადოებამ გაიარა 80 და 90%-იანი პრეზიდენტების არჩევის ხანა და ბევრად უფრო განსხვავებული პოზიციებით მიადგება საარჩევნო ყუთებს. თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ 53%-ით არჩეული პრეზიდენტი რაიმე ნაკლები უფლებების და ავტორიტეტის მატარებელი იქნება, ვიდრე 80 და 90 %-ისა. რადგან საპირისპირო გამოცდილება გვაქვს პროცენტებთან დაკავშირებით. და ერთიც, მაქვს მოლოდინი, რომ ბოლოს და ბოლოს გამჟღავნდება, რატომ მოიფიქრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, რომ უცებ ყოფილიყო მეოცე თუ მეხუთე ათეულში პრეზიდენტობის კანდიდატობისა. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ეს არ გახლდათ ამ ადამიანის არც ოცნება და არც მიზანი. როგორც დასვეს წინა თანამდებობაზე, ისე გადმოსვეს კანდიდატის ჯერ სამფეხა სკამზე, რადგან ნაციონალურ მოძრაობას დიდი ალბათობით დაგეგმილი აქვს სერიოზული შეტევის მიტანა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, აქტიური ცილისწამებით ხელისუფლებაზე და დიდი ისტერიის ასატეხად. დაიგზავნება ინფორმაციები საზღვარგარეთ და, რა თქმა უნდა, გაილანძღება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ამიტომ უნდოდათ მათ დღეს ისეთი კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც არ ექნებოდა საკუთარ მეხსიერებაში გადამალული ის ინსტრუქციები, რომელსაც იღებდა 2010 და 2012 წლებს ნაციონალური მოძრაობისგან. განარიდეს საკუთარი კადრი თავდასხმასა და შეურაცხყოფას და თანაც მშვიდად არიან, რომელიც გააჩნდა ამ ადამიანს, აღარ იქნება გასაჯაროებული, რადგან იგი იქნება შორს თავისი ახალი სტატუსის გამო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ველარ დაბრუნდებიან“

## ჰესების მშენებლობას გაგებით უნდა მოვეკიდოთ

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში დიდი ჰესიანობაა. ენერგეტიკის სამინისტრო და ინვესტორები სადაც კი აქაფებულ წყალს დაინახავენ, ყველგან ჰესის საძირკველს ყრიან. ეს ფაქტი მოსახლეობის და გარემოს დამცველების დიდ შეშფოთებას იწვევს. გაცილებით უფრო შემაშფოთებელია ეკოლოგების დასკვნა. საოცნებო ხელისუფლება ამ დასკვნების გათვალისწინებას არ აპირებს. ერს აქამდე ეგონა, რომ ჰესების აშენებაზე მხოლოდ ენერგეტიკის მინისტრი იქაჩებოდა და პრემიერმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა. სხვა თუ არაფერი, ჯერ ისევ კარგად გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის შარშანდელი დაპირება. მან სვანეთში ყოფნისას განაცხადა, რომ ხალხი თუ წინააღმდეგი იქნება, ჰესი არ აშენდებაო.

არჩევნებამდე, როგორც წესი, ყველა სხვანაირად ჟღურტულებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ გამონაკლისი არც ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა. დაპირებიდან ერთი წლის თავზე მან ფირფიტა შეატრიალა და ერი იმის გამო დაგმო, რომ მათ უნიკალური ბუნების გადარჩენაში დახმარება უწმინდესს სთხოვეს.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ მესტიის და ყაზბეგის მოსახლეობამ სხვადასხვა დროს საქართველოს პატრიარქს მიმართეს და სთხოვეს, ხდის და ხუდონის ჰესების აშენება არ დაეშვა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პატრიარქამდე ამ წერილების მიტანა ძალიან გაჭირდა. საპატრიარქოში არიან პირები, რომლებიც ამ ჰესების მშენებლობას ლობირებენ.

გასული კვირის დამლევს საქართველოს პატრიარქი ილია II პრემიერ-მინისტრს შეხვდა. მან პრემიერს სთხოვა, რომ ხელისუფლებას 2 ჰესის აშენება გადაეფიქრებინა. ალბათ გგონიათ, რომ ივანიშვილს გული აუჩუყდა და ჰესიანობისთვის კალაძე დაგმო. მოხდა პირიქით, მთავრობის მეთაური იმ ხალხს შემოსწყრა, ვინც გაბედა და ბუნების დასაცავად ამოიღო ხმა. ნიშანდობლივია, რომ მან ეს განცხადება ერთ-ერთი ჰესის საძირკვლის ჩაყრაზე გააკეთა.

პრემიერმა გუშინ კახა კალაძესთან ერთად „შუახევიჰესის“ მშენებლობას ჩაუყარა საძირკველი. ღონისძიებას მოსახლეობაც დაესწრო. როგორც გაირკვა, ამ ჰესსაც ჰყოლია მოწინააღმდეგეები. ივანიშვილმა მოსახლეობას მოუწოდა, რომ არ დაუჯერონ მის ოპონენტებს, რომლებიც ჰესების მშენებლობის წინააღმდეგნი არიან და რომლებსაც მხოლოდ ხმაური შეუძლიათ.

მისი განცხადებით, სკანდინავიის ქვეყნებში, ჰესების მშენებლობის გამო, პროცენტულად ბევრად უფრო დიდი ნაწილია წყლით დაფარული, თუმცა ბუნება იქ მაინც დაცულია.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, თითოეული მოსახლის ინტერესს გავითვალისწინებთ და მას მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ, მაგრამ არ შეიძლება, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შევუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს, რომლებიც მხოლოდ ხმაურობენ და ხმაურის მეტი არაფერი შეუძლიათ. აუცილებელი და სავალდებულოა, რომ ჩვენ, ჩვენს შვილებს განვითარებული საქართველო დავუტოვოთ. ამიტომაც, ყურადღებით მოეკიდეთ და ჩემი თხოვნაცაა, გაითვალისწინოთ, რომ ხუდოჰესი ასაშენებელია, ისევე, როგორც სხვა ბევრი ჰესი. კიდევ გიმეორებთ და გარწმუნებთ, რომ გათვლები ძალიან სერიოზული კომპანიების მიერ კეთდება. ჰესების მშენებლობა ჩვენს ბუნებას არ დააზიანებს და თქვენ, იმ ხალხს, ვინც ჰესების წინააღმდეგ გამოდიან, შეგიძლიათ დაუპირისპიროთ შვეიცარიის მაგალითი, სადაც ბუნება მაქსიმალურად დაცულია. ასევეა ავსტრიაში და ნორვეგიაში, სადაც წყლით ათჯერ მეტი ტერიტორიებია დაფარული. შეხედეთ, შეადარეთ კოეფიციენტები და არავინ მოგატყუოთ, რომ საქართველოში ბუნებას ანადგურებენ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერმა ვერც ხუდონჰესზე საუბარს აუარა გვერდი. დღეს დაბა ხაიშში, ჰესის პროექტის განხილვა იმართება. ადგილობრივი მოსახლეობა განხილვის პარალელურად საპროტესტო აქციას მოაწყობენ. მიმდინარე წლის მაისში კი ხაიშელებმა ხატზე დაიფიცეს, რომ ჰესებს არ ააშენებინებდნენ. პრემიერს კარგად მოეხსენება სვანების ბუნება და ამიტომაც მათ საგანგებოდ მიმართა. ივანიშვილმა სვანებს მოუწოდა, ჰესების მშენებლობას გაგებით მოეკიდონ.

— მივმართავ ჩვენს საყვარელ სვანებს, გაგებით, დინჯად მოეკიდონ ამ საკითხს, რადგან ეს არა მხოლოდ სვანეთს, არამედ მთელ საქართველოს ააღორძინებს. რა თქმა უნდა, ბუნება, სადღაც დაიფარება წყლით, მაგრამ თითოეული მოსახლის ინტერესს გავითვალისწინებთ და მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ. არ შეიძლება, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას ხელი შევუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს, რომლებსაც მხოლოდ ხმაური შეუძლიათ. აუცილებელია, ჩვენს შვილებს დავუტოვოთ განვითარებული საქართველო. გაითვალისწინეთ, რომ „ხუდონჰესი“ ასაშენებელია, ისევე როგორც სხვა ბევრი ჰესი, — აღნიშნა პრემიერმა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, პრემიერმა ერის ნაწილი იმის გამო დაგმო, რომ მათ ბუნების გადარჩენა პატრიარქს სთხოვეს.

— პარასკევს მოწვეული მყავდა მისი უწმინდესობა პატრიარქი. უნდა ვთქვა, რომ



პატრიარქიც კი შეაწუხეს და ჩემთან ორი თხოვნა გამოატანეს, რათა ორ ადგილას ჰესი არ აგვეშენებინა. ერთ ადგილზე, ხდის ხეობაში, თურმე ხეობას წყალი დააკლდება, მეორე ხეობაში კი პირიქით, ჰესის აშენების შემდეგ წყალი მოიმატებს.

მე პატრიარქს კარგად ავუხსენი და მისმა უწმინდესობამ კარგად გაიგო, რომ ეს ჩვენი ქვეყნის განვითარების საფუძველია. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვახერხოთ და ავაშენოთ რაც შეიძლება მეტი ჰესი, რომ საქართველოში ენერგია გამომუშავდებოდეს. ეს კი შექმნის იმის საფუძველს, რომ მრავალი ტიპის საწარმო დაფუძნდეს. ეკონომიკას და სამუშაო ადგილებს კი ენერგია სჭირდება და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, მან პატრიარქს ამ საკითხში მხარდაჭერა სთხოვა. ჯერჯერობით უცნობია, რა პოზიციას დაიკავებს პრეზიდენტი.

გასული წლის სექტემბრის თვეში ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნოდ სვანეთს ეწვია. ადგილობრივებმა მაშინ მას შესჩივლეს, სააკაშვილის ხელისუფლება გიგანტური ჰესის აშენებას აპირებსო. პრემიერი მაშინ აღშფოთდა.

— ეს წარმოუდგენელია, მაგის ხარჯზე როგორ შეიძლება ენერგეტიკა მივიღოთ. ენერგეტიკა იმისთვის უნდა მივიღოთ, რომ ხალხმა შეინარჩუნოს თავისი საცხოვრებელი ადგილები და ლაღად იცხოვრონ და თუ ხალხის განადგურების ხარჯზე წამოვიდა და მაცხოვრებლების და სახლების განადგურების ხარჯზე, ასეთი ენერგეტიკა არაფერში გვჭირდება. აუცილებლად გადავწყვეტთ ერთად, გადავწყვეტთ იმ შემთხვევაში დადებითად, თუ ეს იქნება მისაღები და თუ არა და შეჩერდება. არც ერთ შემთხვევაში არ გავაკეთებთ ამას ხალხის საზიანოდ. აი, ასეთი დამოკიდებულება გვექნება არა მარტო ხუდონჰესის მიმართ. ჰესები ძალიან საინტერესოა მაგრამ კარგ განხილვას და კარგ ანალიზს საჭიროებს, — განაცხადა ერთი წლის წინ ივანიშვილმა.

დაახლოებით ასეთივე პირობა მისცა მან ყაზბეგის მოსახლეობას. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ახლა ივანიშვილი მოითხოვს, ჰესების მშენებლობას გაგებით მოეკიდეთო.

გარემოს დამცველები და პოლიტიკოსების ნაწილი ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებების გამო ძალიან აღშფოდნენ. მათგან პრემიერის გმობას ამ დღეებში უნდა ველოდოთ. გუშინ კი ივანიშვილს კვლავ ნაცმოძი გმობდა. პრემიერმა მათი ყურადღება ამჯერად ლატვიური ინტერნეტგამოცემა „ტელეგრაფისთვის“ მიცემული ინტერვიუს გამო დაიმსახურა.

— დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკიდან ჩემი წასვლის შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი აღარ ექნება, — ამბობს პრემიერი.

ივანიშვილი მოახლოებულ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს, დავით ბაქრაძეს მოსახლეობის მხოლოდ 10%-ის მხარდაჭერას უწინასწარმეტყველებს.

— ნაციონალური მოძრაობა აღარასოდეს იქნება პოპულარული, რადგან მოსახლეობას იმედი გაუცრუა და აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები ვერც საკანონმდებლო ორგანოებში შესვლას მოახერხებენ, — აღნიშნა ლატვიურ მედიასთან საუბარში პრემიერმა.

ლატვიური „ტელეგრაფისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სოციუმის პრობლემა აქვს და ხალხმა არჩეული პოლიტიკური ძალის კონტროლი არ იცის. ამიტომ ივანიშვილი სწორედ ამ კუთხით აპირებს საქმიანობის გაგრძელებას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ.

— უკვე 20 წელია, ქვეყანა ვერ გამოდის მოჯადოებული წრიდან. მე საზოგადოებას დავეხმარები, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, გააკეთოს ანალიზი, გამოიყენოს გონება და არა — ემოცია. საზოგადოებასთან ერთად გამოვიმუშავებთ მექანიზმებს, როგორ შევაფასოთ ვითარება სწორად, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ამავე ინტერვიუში ივანიშვილმა საქართველოს პრეზიდენტების შეაფასა. მისი თქმით, ისინი ერთმანეთზე უარესები იყვნენ.

— შეხედეთ, საქართველოს ყველა პრეზიდენტი ერთმანეთზე უარესები იყვნენ. ერთ შემთხვევაში იყო სამოქალაქო ომი, მეორე რევოლუციით ჩამოაგდეს, მესამე — ორ წინამორბედზე ერთად აღებულზე უარესია. საქართველოს პრობლემა სოციუმშია, იმაში, რომ ხალხს არ შეუძლია არც არჩევა, არც მათი კონტროლირება, ვინც აირჩია. ქვეყანას 20 წელია არ შეუძლია მოჯადოებული წრიდან გამოვიდეს. მე დავეხმარები საზოგადოებას, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება, გააანალიზონ, გამოიყენონ გონიერება და არა ემოციები. საზოგადოებასთან ერთად გამოვიმუშავებთ მექანიზმებს, როგორ უნდა შევაფასოთ სწორედ სიტუაცია. ეს მარტივი არ არის, 200 წელი ჩვენ საკუთარ ქვეყანას ვერ ვმართავდით, — აღნიშნავს პრემიერი.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა „ტელეგრაფთან“ საუბარში რუსეთთან ურთიერთობაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, სააკაშვილი რომ გონივრულად მოქცეულიყო, რუსეთი საქართველოში ჯარებს არ შემოიყვანდა.

— ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ იქცევა რუსეთი. მან აგრესია ჩაიდინა დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ და ტერიტორიის 20 პროცენტი ახლა ოკუპირებულია. რუსეთთან ყველაფერი გასაგებია, მან გააკეთა ის, რაც გააკეთა. სააკაშვილი რომ გონივრულად მოქცეულიყო, არ ჩაედინა სისულელეები, რუსეთი საქართველოში ჯარებს არ შემოიყვანდა. უნდა მომხდარიყო სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია, გამოეძახებინათ დამკვირვებლები ევროპიდან, აეწიათ სკანდალი და ამით ყველაფერი დასრულდებოდა. რა გააკეთა მან? შეიყვანა ტანკები, ჰაერში აიწია ვერტმფრენები, რის შემდეგაც საქართველოში რუსეთის რეგულარული ჯარი შემოვიდა. სააკაშვილს პასუხი არ უნდა გაეცა, — აცხადებს პრემიერი.

ივანიშვილის თქმით, მას არ უნდა შედარება, ვინ უფრო დამნაშავეა ამ ომში, პუტინი თუ სააკაშვილი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ეუთო საქართველოში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მზად არის

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რანკო კრივოკაპიჩი ეწვია. ქვეყნის პარლამენტის თავკაცი დავით უსუფაშვილი მას „ქორთიარდ მარიოტში“ შეხვდა. ჩვენს ბედად ეს შეხვედრა



პარლამენტის შენობაში არ გაიმართა, თორემ კრივოკაპიჩის ევაკუაციაც გახდებოდა საჭირო. მოგეხსენებათ, რომ გუშინ პარლამენტში მავანმა დარეკა: შენობაში ბომბიაო. სამართალდამცავებმა საკანონმდებლო ორგანოს ევაკუაცია განახორციელეს.

ევაკუაციას გადარჩენილმა უსუფაშვილმა და კრივოკაპიჩმა ერთობლივი პრესკონფერენციაც გამართეს. უსუფაშვილმა სტუმარს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა და მადლობაც გადაუხადა იმის გამო, რომ ეუთო ჩვენებურ არჩევნებს წელსაც დააკვირდება.

— კარგად ვიცით, თუ რაოდენ დიდია ეუთოს როლი არჩევნების სამართლიანად, ევროპული სტანდარტების შესაბამისად ჩატარებისთვის. მადლობას ვუხდი კოლეგებს შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებზე ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ნაყოფიერი საქმიანობისათვის. შეხვედრაზე კმაყოფილება გამოვთქვი იმის გამო, რომ ეუთო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნას წელსაც გამოეხმაურა და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები მათი კვალიფიციური, ყურადღებიანი დაკვირვების ქვეშ ჩატარდება, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ეუთო, როგორც ორგანიზაცია, 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს სრულიად ადეკვატურად აფასებს. ეუთოს წევრები გარდა ერთი ქვეყნისა, იზიარებენ პოზიციას, რომ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას არცერთი აღიარებს.

უსუფაშვილის განმარტებით, ეუთო-ს მისიის არსებობას საქართველოში სწორედ რუსეთი ეწინააღმდეგება.

— შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებთ იმ გზების გამოძებნისათვის, რომ ამ ორგანიზაციამ საქართველოში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის შესაძლებლობები გამოავლინოს, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

რანკო კრივოკაპიჩის განცხადებით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას დემოკრატიის გამყარების საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება.

— ორგანიზაციის მთავარი გზავნილი მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებისათვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული პროცესის გაუმჯობესება იქნება. ჩვენს ორგანიზაციას ამაში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია. ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენი დამკვირვებლებით ვიქნებით წარმოდგენილნი და ეს საკმაოდ ძლიერი მისია იქნება, — აღნიშნა რანკო კრივოკაპიჩმა.

მისი განცხადებით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად ქვეყანას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 50-ზე მეტი წარმომადგენელი ეწვევა.

კრივოკაპიჩის ინფორმაციით, არჩევნებამდე რამდენი-



მე დღით ადრე ქვეყანას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 50-ზე მეტი პარლამენტარი ეწვევა. მათ შორის იქნებიან ცნობილი პარლამენტარებიც.

— ისინი დემოკრატიის განვითარების პროცესს დააკვირდებიან. არჩევნების საბოლოო შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია. ეუთოს სადამკვირვებო მისიის ხელმძღვანელი არჩევნების პერიოდში მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება, რომელიც მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით საბოლოო განცხადებას გააკეთებს, — აღნიშნა რანკო კრივოკაპიჩმა.

კრივოკაპიჩის განცხადებით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის მომხრეა.

— ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა იმთავითვე უჭერდა მხარს სამშვიდობო მისიის ყოფნას იმ ადგილებზე, სადაც ეს ნამდვილად საჭიროა. დღეისათვის ასეთი 15 მისია გვყავს წარგზავნილი. მონაკოში სპეციალური რეზოლუცია მივიღეთ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში ჩვენი მისიის აღდგენა აუცილებელია. ეს სტამბულის შეხვედრაზეც დავადასტურეთ. საქართველოში ეუთო-ს სამშვიდობო მისის აღდგენას არა მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე ვუჭერთ მხარს‚ არამედ მიგვაჩნია, რომ ამისათვის თანხაც უნდა გამოიყოს, — აღნიშნა რანკო კრივოკაპიჩმა.



# ბათუმში დაკავებული ლაკაევი რუსებს შავ სიაში ჰყავდათ შეყვანილი

## საგარეო საქმეთა სამინისტრო მოსკოვის დუმილით გაკვირვებულია

ნათია ხურცილავა

გუშინ საგარეო უწყებაში პრესკონფერენცია მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ გამართა. მინისტრის მოადგილემ საგარეო უწყების მიერ მიმდინარე კვირას დაგეგმილ შესასრულებელ სამუშაოებზე ისაუბრა. ჯალაღანიამ ასევე შეაფასა გასული კვირის მოვლენები.

საგარეო უწყებაში ბათუმში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურნენ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია მიესალმება სამართალდამცავი სტრუქტურების ფხიზლად ყოფნის ფაქტს. ის ასე გამოეხმაურა ბათუმში მომხდარი ინციდენტის დროს იუსუფ ლაკაევის დაკავების ფაქტს, რომელიც რუსული მედიის ინფორმაციით, სოჭის ოლიმპიადისთვის საფრთხის შემცველი პირების სიაშია შეყვანილი.

ჯალაღანიამ სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის შეთავაზება რუსეთისადმი სოჭის ოლიმპიადის ფარგლებში უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ, რუსეთის მხრიდან ამ დრომდე უპასუხოდაა დატოვებული.

– თუკი რამე პრეტენზიას ექნება ადგილი, ეს აბსოლუტურად საფუძველს მოკლებულია, მე ჯერ ამგვარი რამ არ მსმენია, რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს (ლაკაევის დაკავება), კარგია, რომ ჩვენი სამართალდამცველი ორგანოები ასე ფხიზლად არიან. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი გადაწყვეტს თუ არა, ითანამშრომლოს ამ კუთხით, საქართველოს უსაფრთხოება ჩვენი შესაბამისი სტრუქტურების მოვალეობაა. ამიტომ ამ ფაქტს თავისთავად აქვს დადებითი, რომ ასეთი საფრთხისაგან განეიტრალება მოხდება. თუმცა ალბათ, ეს შეფასება და ფაქტზე კომენტირება სამართალდამცავ უწყებებს უნდა დავუტოვოთ, – განაცხადა ჯალაღანიამ სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე.

დავით ჯალაღანიამ ასევე ისაუბრა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ცალმხრივად მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც 19 სექტემბრიდან საოკუპაციო ზოლზე ავტოტრანსპორტის, ტვირთისა და ფეხით მოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვაზე მოხდება. აღნიშნული, საგარეო უწყების ინფორმაციით, ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის განხილვის საგანი გახდება.

როგორც ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი გადაწყვეტილება ძალაში შევა. იგი აქვე იმედოვნებს, რომ ასეთი რამ არ მოხდება.



ჯალაღანიას შეფასებით, ეს არის იმ უკანონობის გაგრძელება, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოკუპაციასთან დაკავშირებით მუდმივად ხდება.

– ეს იქნება მორიგი, ძალზე მძიმე გადაწყვეტილება, თუკი შესრულდება. მინდა დაგარწმუნოთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთლიანად მთავრობის მუდმივი ყურადღების ქვეშ არის ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევის მცდელობა. ეს იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში ჟენევის მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარეების ვიზიტის დროს საუბრის საგანი. ჩვენი თხოვნით, მათ ეს საკითხი ცხინვალში ვიზიტისას დღის წესრიგში დასვეს. შესაბამისად, ის ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დღის წესრიგში შევა, რომელიც 5-6 ნოემბერს გაიმართება. იმედია, ეს არ მოხდება, მაგრამ თუ ასე მოხდა, აღნიშნული საკითხი ერთ-ერთი განსახილველი იქნება, – აღნიშნა დავით ჯალაღანიამ.

საგარეო უწყების წარმომადგენლის თქმით, მხოლოდ 5-6 ნოემბერს არავინ დაელოდება და სახელმწიფო უკვე არსებული მექანიზმების გამოყენებას მანამდეც შეეცდება.

როგორც ჯალაღანია შენიშნავს, საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უპრეცედენტო და ანტიჰუმანურია და მას საქართველო მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად წინ უნდა აღუდგეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციას მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია 2013 წლის 14 სექტემბერს, ჟენევაში სირიაში იარაღის განადგურების შესახებ მიღწეულ ჩარჩო-შეთანხმებას მიესალმა და აღნიშნა, ეს შეთანხმება თავისი შინაარსით უპრეცედენტოა.

– მინდა, აღვნიშნო, რომ საქართველო განუხრელად უჭერს მხარს მსოფლიოში მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობის ზოგად პრინციპებს. შესაბამისად, საქართველო მიესალმება სირიის ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ მიღწეულ ჩარჩო-შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს სირიაში არსებული ყველა ქიმიური იარაღის როგორც რაოდენობის, ისე ტიპის ერთობლივ აღრიცხვას და ამისთვის კონკრეტულ და მჭიდრო ვადებს აწესებს, – განაცხადა ჯალაღანიამ.

მისივე თქმით, აღნიშნული შეთანხმების იმპლიმენტაცია გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით იქნება გამყარებული.

– ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია მისი იმპლიმენტაცია. ვიმედოვნებთ, რომ ყველა პასუხისმგებელი მხარე შეთანხმებით განსაზღვრულ ვალდებულებებს სათანადოდ შეასრულებს, – ამბობს ჯალაღანია.

ჯალაღანიას განცხადებით, აღნიშნული ნოტა განპირობებულია იმით, რომ სან მარინოში ოკუპირებული აფხაზეთის დელეგაცია იმყოფებოდა.

– მოგეხსენებათ, მთელი ცივილიზებული საზოგადოება, ოთხი გამონაკლისის გარდა, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს უჭერს მხარს, მათ შორის, ეს ქვეყანაც და ჩვენ არ გვაქვს არავითარი ეჭვი, რომ რაიმე ცვლილებებზე ვიფიქროთ მათი მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერის კუთხით. ასეთ ცალკეულ ინიციატივებს ცალკეული პირების მხრიდან აქვს ადგილი და ალბათ, მომავალშიც ექნება. ჩვენ სან-მარინოს ხელისუფლებას შესაბამისი ნოტით მივმართავთ, ამაზე იქნება რეაგირება, ჩვენ კიდევ ერთხელ მივუთითებთ, რომ ეს მიუღებელი და საერთაშორისო სამართლის არაკანონიერი ქმედებაა. მოვუწოდებთ, რომ მომავალში ასეთი ქმედებისაგან თავი შეიკავონ, – განაცხადა ჯალაღანიამ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო უწყებაში ყურადღება გამახვილდა, ეუთოს მისიის აღდგენის აუცილებლობაა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში ეუთოს მისიის აღდგენის მომხრეა.

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი იმყოფება. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარემ, რანკო კრივოკაპიჩმა თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოში ეუთოს მისია უნდა აღდგეს.

– ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა იმთავითვე უჭერდა მხარს სამშვიდობო მისიის ყოფნას იმ ადგილებზე, სადაც ეს ნამდვილად საჭიროა. დღეისათვის ასეთი 15 მისია გვყავს წარგზავნილი. მონაკოში სპეციალური რეზოლუცია მივიღეთ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში ჩვენი მისიის აღდგენა აუცილებელია. ეს სტამბულის შეხვედრაზეც დავადასტურეთ. საქართველოში ეუთო-ს სამშვიდობო მისის აღდგენას არა მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე ვუჭერთ მხარს, არამედ მიგვაჩნია, რომ ამისათვის თანხაც უნდა გამოიყოს, – აღნიშნა რანკო კრივოკაპიჩმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაგრძელებასა და ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას მიესალმება.

როგორც ჯალაღანიამ განაცხადა, საგარეო საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურად არის მოტივირებული ახალ ხელმძღვანელთან – ტოივო კლაართან მჭიდრო თანამშრომლობა გააგრძელოს.

– საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს ევროკავშირის მისიის მონიტორინგის მნიშვნელობას საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში, – განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

როგორც ცნობილია, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალმა ხელმძღვანელმა ტოივო კლაარმა ამ თანამდებობაზე ანდჟეი ტიშკევიჩი შეცვალა. ეს უკანასკნელი სადამკვირვებლო მისიას საქართველოში 2011 წლიდან ხელმძღვანელობდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ზედამხედველობას 2008 წლის ოქტომბრიდან უწევს. მისია ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნის 260 წარმომადგენლისგან შედგება.

ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ სპეციალური ვიდეო მიმართვა გაავრცელა. სწორედ ამ მიმართვაში განაცხადა ევროკომისარმა, რომ ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას მოუთმენლად ელის. ევროკომისარმა შტეფან ფულემ სპეციალურ ვიდეომიმართვაში განაცხადა, რომელიც მან საქართველოში დაგეგმილ ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის საერთაშორისო სესიასთან დაკავშირებით გაავრცელა აღნიშნული მიმართვა.

შტეფან ფულემ სესიაში მონაწილეებს წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი საქართველოს უნიკალური შესაძლებლობებით აღფრთოვანებულები დარჩებიან.

– ვფიქრობ, საქართველო საუკეთესო ადგილია განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური ფონის მქონე ახალგაზრდების შესახვედრად, რომლებსაც ენთუზიაზმი აერთიანებთ, რომ გამართონ დებატები და სხვადასხვა აქტუალური საკითხები განიხილონ. საქართველო ახალგაზრდა ქვეყანაა, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ ის თავისი უდიდესი კულტურით უძველესია. ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგას, როგორც მეგობარი და პარტნიორი. ჩვენ მოუთმენლად ველით ამ ქვეყანასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას. დარწმუნებული ვარ, თბილისის სესია წარმატებული იქნება და მოუთმენლად ველი მის შედეგებს, – განაცხადა შტეფან ფულემ.

# ზურაბ ბიგვავა: „საგანელიძემ „ქართულ ოცნებაში“ თავისი მმართველი გუნდის შექმნა მოინდომა“

## „მემარჯვენეები, მრეწველები და ლეიბორისტები განთქმული არიან არჩევნების გაყიდვით“

როლანდ ხოჯანაშვილი

გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე სამეგრელოში „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაიმარჯვა. წაგების მიზეზებზე „ახალ თაობას“ ესაუბრა ზურაბ ბიგვავა, რომელიც „ქართული ოცნების“ მარტვილის შტაბს ხელმძღვანელობდა.

***– ბატონო ზურაბ, თქვენ კარგად იცნობთ იმ სიტუაციას, რომელიც იყო 2012 წლის წინ სამეგრელოში საარჩევნო თვალსაზრისით, გაიხსენეთ ეს პერიოდი და ახსენით, რატომ ჰქონდა ცუდი რეზულტატები იქ „ქართულ ოცნებას“?***

– ამას აქვს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. სამეგრელოს დამონება და გადაგვარება სააკაშვილის რეჟიმიდან არ დაწყებულა. სამეგრელოს დამონება, გაუპატიურება, გადაწვა და დაჩოქება დაიწყო 1992 წლიდან მხედრიონის მიერ. ის, რაც ვერ გაანადგურა შევარდნაძის რეჟიმმა, მისი განადგურება გააგრძელა სააკაშვილმა ახალაიების, ქარდავების, კოდუების... და გოროზიების ხელით. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ აყვავებული სამეგრელო, რომელიც წარმოადგენდა სატრანზიტო-საკურორტო ზონას, გახდა ჩაკეტილი ჩიხი. სამეგრელოში არ მუშაობს არცერთი ფაბრიკა-ქარხანა. აქ ყველაზე დიდია უმუშევრობა სხვა რეგიონებთან შედარებით. სამეგრელო გახდა ახალაიების გუბერნია. მათ გავლენას კი იცავდა პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ბოლოს, თავდაცვის სამინისტრო თავისი სამხედრო პოლიციით. ვინც ხმას ამოიღებდა, მას ელოდა უსასტიკესი ბედი ოჯახის წევრებთან ერთად, სიცოცხლის დაკარგვაც კი. ამან გამოიწვია ის, რომ სამეგრელო დატოვა ყველამ ვინც არ შეეგუა ამ რეჟიმების პარპაშს. სამეგრელოში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, ბავშვები და ის ფენა, რომელსაც ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს დაეტოვებინა სახლ-კარი. უმეტესობა გადაიხვეწა რუსეთში, თურქეთში, ევროპაში და დანარჩენმა მიაშურა თავკომბალა თბილისს. საჯარო სამსახურში კი ასაქმებდნენ მხოლოდ იდეურად მხედრიონის, შევარდნაძის და ბოლოს „ნაციონალების“ მხარდამჭერებს. ის ხალხი კი, ვინც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას უჭერდა მხარს და ეროვნული იდეების მიმდევრები არიან, უგულებელყოფილნი იყვნენ ყველა ხელისუფლების მიერ და უგულებელყოფილნი არიან დღესაც. ამას დაემატა ის, რომ ქართული ოცნების მიერ არ იყო სწორად შერჩეული მაჟორიტარობის კანდიდატები. მათ არ ჩაუტარებიათ არავითარი სოციოლოგიური კვლევა, ან პრაიმერიზი. „ქართულმა ოცნებამ“ პირდაპირ თბილისიდან დანიშნა მაჟორიტარობის კანდიდატები თვალდახუჭულად. მათ რატომღაც გონიათ, რომ თბილისიდან უკეთესად ჩანს ადგილობრივი პრობლემები და კეთილდღეობა. ბატონი ბიძინას ავტორიტეტი არ აღმოჩნდა საკმარისი არჩევნების მოსაგებად ზუსტად ამ მიზეზების გამო. ამას, რათქმა, უნდა დაემატა არჩევნების გაყალბება, რომლის გამოძიებასაც გვპირდებოდა „ქართული ოცნება“, მაგრამ ეს დაპირება გადაჰყვა კოჰაბიტაციას.

***– როცა მარტვილის „ქართული ოცნების“ შტაბს ხელმძღვანელობდით, ბუნებრივია, საარჩევნო ოლქის ბევრ დეტალს აკვირდებოდით. მაშინ საოლქოს წარმომადგენელი 6 კომისიის წევრს ნიშნავდა არა ოლქი იმდენად, არამედ მმართველი პარტია, ახლა გვაქვს სხვა მდგომარეობა?***

– როცა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები იყო, მაშინ 13 კომისიის წევრიდან 2 იყო „ქართული ოცნების“ დანარჩენი 11, ფაქტიურად, ნაციონალური მოძრაობის. ამ არჩევნების დროს დიდი როლი შეასრულა დამკვირვებლების ინსტიტუტმა და ვიდეო კამერების დამონტაჟებამ საარჩევნო უბნებზე. ეს იყო ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორი უფრო მასშტაბური გაყალბებისგან. დღეს კი საარჩევნო უბნებზე გვაქვს ასეთი მოცემულობა: 13 კომისიის წევრიდან 6 არის კოალიცია „ქართული ოცნების“, 1 „ნაციონალური მოძრაობის“ და 6 ნიშნავს ცესკო (საოლქო საარჩევნო კომისია). მარტვილის რაიონში ამ 6 წევრის დანიშვნა მოხდა „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის გარიგებით (3-3 წევრი). გამოდის, რომ „ოცნებას“ჰყავს 9 წევრი და 4 „ნაციონალებს“. ეს კი ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. წინააღმდეგი ვარ ყველანაირი საარჩევნო გარიგების, როგორც „ნაციონალებთან“, ასევე ნებისმიერ პარტიებს შორის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ისწავლოს ხელისუფლებამ არჩევნებისადმი პატივისცემა. თუ გინდათ, რომ ენდონ არჩევნებს და პატივი სცენ, ის არ უნდა გააყალბო.

***– დავით საგანელიძეს ხშირად საყვედურობენ მედიასა და სოციალურ ქსელებში. თქვენც გაქვთ ალბათ მის მიმართ პრეტენზიები, სხვაგვარად საგანელიძის კრიტიკის საგანი ვერ გახდებოდით...***

– როდესაც დავით საგანელიძემ დატოვა „მემარჯვენეები“ და შემოუერთდა „ქართულ ოცნებას“, პირადად გამიხარდა. ჯერ ერთი, „მემარჯვენეები“„ლეიბორისტებთან“ და

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბიძინა ივანიშვილი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ველარ დაბრუნდებიან“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– რა თქმა უნდა, რუსეთია ამ ომში დამნაშავე. საქართველო სუვერენული ქვეყანაა, რუსეთს არ ჰქონდა უფლება, იქ თავისი ჯარი შეეყვანა. არანაირი გამართლება ამას არ აქვს, – ამბობს ივანიშვილი.

რაც შეეხება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეს ძალიან რთული იქნება და მალე ვერ მოგვარდება, თუმცა ეს ასე იქნება.

– კორექტული, დიპლომატიური საქციელით ჩვენ უკვე შევძელით რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება. აღდგენილია სავაჭრო ურთიერთობები. 40-ზე მეტ ქართულ კომპანიას უკვე შეაქვს თავისი პროდუქცია რუსულ ბაზარზე, ბევრი კი რიგში დგას და ნებართვას ელოდება. რუსი ტურისტების რაოდენობა საქართველოში ორჯერ გაიზარდა. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რუსეთმა თავად უნდა გაიაზროს, რომ ის არასწორად მოიქცა. რად უნდა რუსეთს ეს ტერიტორიები? ისინი მისთვის ხელსაყრელი არ არის, მათ ისედაც საკმარისი პრობლემები აქვთ უსაფრთხოებასთან. კავკასია არც ისე მარტივი რეგიონია. ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი – იქ პრაქტიკულად, ყოველ დღე ადამიანები იხოცებიან. მაგრამ პრობლემა მარტო რუსეთში არ არის – თავად ოსებს და აფხაზებს უნდა მოუნდეთ ჩვენთან ცხოვრება. საქართველოდან თავად ქართველები გარბოდნენ და აფხაზები და ოსები რატომ დაბრუნდებოდნენ?! დასაწყისისთვის უნდა ალვადგინოთ ეკონომიკა, შევქმნათ რეალური დემოკრატიული ინსტიტუტები, დავალაგოთ ურთიერთობა ევროკავშირთან და ნატოსთან, საქართველო საინტერესო ქვეყანა უნდა გახდეს, როგორიც ის მაგალითად, საბჭოთა დროს იყო. მას შემდეგ, რაც ამას აფხაზები და ოსები დაინახავენ, მათ თავად მოუნდებათ ჩვენთან ერთად ცხოვრება. არანაირ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვინმეს ძალის გამოყენებით დავიბრუნებთ, – განაცხადა ივანიშვილმა.

ლატვიურ მედიასთან საუბარში მას ევრაზიულ კავშირზე გაკეთებული განცხადების გაკეთების კომენტირებამაც მოუწია. მისი თქმით, ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით მისი სიტყვები ოპოზიციამ გაამუქა.

– პოლიტიკაში ყოფნის პირველივე დღიდან ყოველთვის ვაცხადებდი და ვაცხადებ – საქართველოს სტრატეგია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას გულისხმობს. როცა ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით კითხვა დამისვეს, მე ასე ვუპასუხე: ჩვენ ვსწავლობთ ყველა ვარიანტს და თუკი დავინახავთ, რომ ეს ჩვენს სტრატეგიას არ ეწინააღმდეგება, რომ ეს სასარგებლოა და მომგებიანია ქვეყნისთვის, მაშინ რატომაც არა? შემიძლია იგივე გავიმეორო. სად არის აქ ურთიერთწინააღმდეგობა? გლობალურ პოლიტიკაში ტრენდები შეიცვალა. დიახ, დღეს რუსეთს აშშ-თან და ევროპასთან რთული ურთიერთობა აქვს, მაგრამ ყველაფერი შესაძლოა სწრაფად შეიცვალოს. რუსეთთან პრობლემები ბევრ ქვეყანას ჰქონდა, მათ შორის, ლატვიასაც, თუმცა ყველამ შეძლო ურთიერთობის დალაგება. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სრულად გაიფუჭა ურთიერთობა რუსეთთან და მხოლოდ სააკაშვილს შეეძლო ურთიერთობის ცივი ომის რეჟიმამდე მიყვანა, – ამბობს პრემიერი.

# რაზე ვერ შეთანხმდნენ ბიძინა ივანიშვილი და სალომე ზურაბიშვილი

შორენა კოწოწაშვილი

დიმიტრი ლორთქიფანიძე ივანიშვილის ნაბიჯს, პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე, ვაჟკაცურს უწოდებს და აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები უკვე გაყალბებულია. მისი თქმით, დღევანდელი პარლამენტი უფრო უარესია, ვიდრე ის სამარცხვინო პარლამენტი, რომელიც ნაცმოძრაობის უმრავლესობით იყო წარმოდგენილი.

რატომ ვერ მოიგებს არჩევნებს ბურჯანაძე, რამდენად სამართლიანად ეთქვა სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი და რატომ არ შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კანონმდებლობა?

ინტერვიუ დამოუკიდებელი უფლებადამცველ **დიმიტრი ლორთქიფანიძესთან**.

***— ბატონო დიმიტრი, როგორ შეაფასებდით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს? პრესაში უკვე გაჩნდა პოლიტიკოსების და ექსპერტების შეფასებები, რომ პოლიტიკური კრიზისი სახეზეა. მართლაც ასეთი რთული ვითარებაა პოლიტიკური თვალსაზრისით?***

— კი, ქვეყანაში ძალიან სერიოზული კრიზისია. ამ კრიზისს კიდევ უფრო აძლიერებს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება, სირიის კრიზისი, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, ვგულისხმობ შეერთებულ შტატებს და რუსეთის პაექრობას ამ მიმართულებით. როგორც ჩანს, მეტი მორალური სიმაღლე ამ ბოლო დღეების გადმოსახედიდან თუ შევაფასებთ, რუსეთის სასარგებლოდ უფრო ვითარდება ანუ მორალური სიმაღლე რუსეთმა აიღო რეალურად გამომდინარე იქიდან, რომ ინტერვენციის შეფერხება და ყოველ შემთხვევაში, დროში რაღაც დროით გადავადება, სახეზეა. რატომ ვუკავშირებ სირიის კრიზისს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, იმიტომ, რომ თქვენ მოგეხსენებათ, გეოპოლიტიკური სივრცე სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთისთვის არის განსაკუთრებული ინტერესის საგანი და შესაბამისად, ის, რაც სირიაში ვითარდება, ცხადყოფს, რომ რუსეთი არაფრის დიდებით, არანაირი პირობით და წინადადებით კავკასიაზე ხელს არ აიღებს და შესაბამისად, საქართველოში ჩვენ ვხდებით ანუ საქართველო ხდება განტევების ვაცი ზესახელმწიფოებს შორის ჭიდილის პროცესში. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან, რა აწყობს ქვეყანას, როგორი გარემო უნდა შეიქმნას — კონფრონტაციული თუ ნაკლებკონფრონტაციული ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან მიმართებაში. ჩემი აზრით, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამ შემთხვევაში ძალიან ბრძნულ ნაბიჯს დგამს, ვინაიდან მან ძალიან კარგად შეაფასა თავისი რესურსები; ღიადაც განაცხადა, რომ მას ფაქტობრივად აღარ ძალუძს, რომ პოლიტიკურ პროცესებს უხელმძღვანელოს და აიღოს პასუხისმგებლობა. ეს, ჩემი აზრით, ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯია. მეტი შეფასება რომ აღარ გავაკეთოთ, ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯია, მაგრამ ახლა საკითხავია, ამ ნაბიჯს რა შემდგომი მოქმედებები მოჰყვება, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მართვა-გამგეობაზე.

***— ანუ სწორად მოიქცა ივანიშვილი, როცა პრემიერის პოსტიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და ეს საჯაროდ ამდენი ხნით ადრე გააჟღერა?***

— აუცილებლად. სხვა შეფასება აქ არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ეს არის ნაბიჯი იმ ადამიანისა, რომელიც ღიად აცხადებს, რომ ის პოლიტიკურ პროცესს ვეღარ გაუძლვება, რომ საკუთარი რესურსები ამოწურა და იძულებულია, ეს პროცესი ასე ვთქვათ, გადართოს სამოქალაქო სექტორში აქტიური მოქმედებებით ანუ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციამ გაუწიოს კონტროლი მთავრობის შემდგომ მოქმედებებს. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შეფასებით — მხოლოდ მისი ვაჟკაცური გადაწყვეტილებით, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ. მე ვფიქრობ, რომ ბატონი ივანიშვილის განცხადება ასევე ხელს შეუწყობს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების უცილობელ დანიშვნას ქვეყანაში, რომ არ აღმოვჩნდეთ მართლაც გამოუვალ კრიზისში. ამავე დროს, იცის არ შეიძლება არ შევაფასოთ, რომ ივანიშვილის განცხადება სერიოზულ დარტყმას აყენებს მის ფავორიტ მარგველაშვილს, ვინაიდან მინიმუმ 10-15% შეიძლება დააკლდეს მარგველაშვილს ხმებისა მხოლოდ იმ განცხადების გამო, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წასვლას უკავშირდება. დღესაც ჩვენ ნაციონალური მოძრაობის დაწერილი კანონმდებლობით მივდივართ არჩევნებზე. დღესაც ჩვენი საარჩევნო სიები არის შეუსწორებელი და დღესაც გაყალბების იგივე ხარისხი არსებობს, დაახლოებით 20-30%-მდე, როგორიც არსებობდა აქამდე. უბრალოდ, აქ იმის თქმა მინდა, რომ ივანიშვილის განცხადების ფონზე პაექრობას აზრი ექნება საპრეზიდენტო არჩევნებში გამომდინარე იქიდან, რომ „ქართული ოცნების“ ძალიან ბევრი მხარდამჭერი დღეს არის იმედგაცრუებული საკუთარ გუნდში და ცდილობს, ოპოზიციის ახალი, რეალური ნიშა აღმოაჩინოს „ქართული ოცნების“ გარეთ. რა თქმა უნდა, მხარდამჭერთა გამრავლების მიზეზი ნაციონალური მოძრაობის მიმართ, უბრალოდ, არ არსებობს. ნაციონალური მოძრაობის მიმართ ჯანსაღ საზოგადოებაში არსებობს ერთადერთი მოთხოვნა — ეს პოლიტიკური მოძრაობა უნდა იქნეს გაყვანილი პოლიტიკური სივრციდან. მისი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიმართ უნდა დაიწყოს ძალიან სკრუპულოზური გამოძიება. იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში მეორედ მსგავსი რამ არ განმეორდეს, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო 9 წლის მანძილზე. შეძლებს თუ არა პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრი, ვგულისხმობ, „ქართული ოცნების“ გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ოპოზიციურ სპექტრს, გამონახოს საერთო ენა ქვეყნის აღმშენებლობისთვის ისე, რომ დაძლეულ იქნეს დროულად კრიზისი, ამას ალბათ ახლო მომავალი გვიჩვენებს. ძალიან მნიშვნელოვანია ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მონაწილეობაც. აქვე ძალიან დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მიმართ ნამდვილად არ არსებობდა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განპირობებული რაიმე შესაძლებლობა, რომ მისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ. სხვა საკითხია, რომ იგი ვერ დაიკავებდა პრეზიდენტის პოსტს თუ არ დატოვებდა შემდგომში ან საფრანგეთის, ან საქართველოს მოქალაქეობას. ესეც ძალიან აბსურდია, ვინაიდან ივანიშვილი გახლავთ საფრანგეთის მოქალაქე მხოლოდ და იგი მასზე ადრე მორგებული კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის თანახმად, იკავებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტს. მოგეხსენებათ, სალომე ზურაბიშვილი დილემის წინაშე იდგა — თუკი ის ისურვებდა და დათმობდა საქართველოს ან საფრანგეთის მოქალაქეობას, მას შესაძლებლობა ექნებოდა საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი ეყარა.

***— სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა გამიზნულად მოუსპეს?***

— რა თქმა უნდა, თანაც იმ საკონსტიტუციო ნორმის მოშველიებით, რომელიც არასწორად იქნა ინტერპრეტირებული როგორც ცესკო-ს, ისე საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მიერ. მე აქ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვაკისრებ ვახტანგ ხმალაძეს, როგორც იურიდიული კომიტეტის წევრი, ვალდებული იყო, შესაბამისი კომენტარი გაეკეთებინა — ღრმა, დასაბუთებული და ყოვლისმომცველი. აგრეთვე სხვა პოლიტიკურ ლიდერებსაც უნდა გაეკეთებინათ ამასთან დაკავშირებით განცხადებები.

***— ფიქრობთ, რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედა კოალიციურმა ხელისუფლებამ სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში?***

— რა თქმა უნდა. პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ქალბატონი ზურაბიშვილის მიმართ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ სალომე ზურაბიშვილი და მისი პოლიტიკური პარტია ძალიან კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“. „საქართველოს გზა“ ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა და 1 ოქტომბრის არჩევნებში თავისი წვლილიც შეიტანა, საკმაოდ მნიშვნელოვანი, კოალიციის გამარჯვების მოპოვებაში. ქალბატონი სალომე იყო უპირობო მხარდამჭერი ბიძინა ივანიშვილის და ბუნებრივია, მას ჰქონდა სრულად კანონიერი განცდა იმისა, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდში მისი შესაბამისი გამოცდილებისა და პროფესიიდან გამომდინარე, მოინახებოდა ღირსეული ადგილი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მაია ფანჯიკიძე რატომღაც უკეთესი კანდიდატურა აღმოჩნდა სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ძალიან დიდი და ამავე დროს, პირველი



შეცდომა, რომელიც დაუშვა უშუალოდ ბიძინა ივანიშვილმა. იმიტომ, რომ მაია ფანჯიკიძის ადგილი იქ, სადაც სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის დამტკიცების შესაძლებლობა არსებობდა, არ უნდა ყოფილიყო საერთოდ განხილული. ძალიან გული მწყდება, რომ არათუ საგარეო უწყების პირველ პირობაზე ვერ მოხდა შეთანხმება, არამედ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების საკითხიც კი, ძალიან დიდ პრობლემად ექცა „ქართულ ოცნებას“.

***— ეს პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პირადი პასუხისმგებლობის საკითხიც არის?***

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ მხოლოდ ცესკო-ს არადასაბუთებული განცხადება არ უნდა გახდეს კომენტარის საგანი „ქართული ოცნების“ ლიდერებისთვის. მათ საკუთარი აზრი გააჩნიათ. ძალიან ბევრი კარგი იურისტი ჰყავთ, მეცნიერ-იურისტებიც ამავე დროს და ბუნებრივია, მათგან ჩვენ არ მოგვისმენია სათანადო განმარტებები.

***— ბევრი ოპოზიციონერი ნინო ბურჯანაძეს ერთადერთ რეალურ საპრეზიდენტო კანდიდატად მიიჩნევს, რომელიც მარგველაშვილს სათანადო კონკურენციას გაუწევს.***

— მართლაც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ის არის დღევანდელ ოპოზიციურ გუნდში ერთადერთი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელსაც მზარდი დამაჯერებელი რეიტინგი აქვს. ნინო ბურჯანაძე შეეცდება, რომ ეს მზარდი რეიტინგი და მისდამი ნდობა შემდგომში გამოიყენოს იმისთვის, რომ შეეცადოს, გახდეს ერთიანი ოპოზიციური ფლანგის ლიდერი, როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები. თუმცა თუ ასე გაგრძელდა, ის დინამიკა, როგორც საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს, ვფიქრობ, ბურჯანაძეს ექნებოდა ძალიან დიდი შანსი, მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში, რომ გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი. მაგრამ მე არა ვარ ილუზიებში. რითაც დავიწყე, იმით გავაგრძელებ და გეტყვით, რომ არჩევნები უკვე გაყალბებულია ზუსტად იმ მეთოდით და იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რასაც ყოველთვის რესურსულად იყენებდა ნაციონალური მოძრაობა. ქალბატონ თამარ ჟვანიას დანიშვნაც, ბოდიშს მოვიხდი მისი პიროვნების წინაშე, მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილზე დანიშნული, ჟვანია იქნებოდა თუ სხვა ვინმე, ეს უკვე ცხადყოფს იმას, რომ მისი კანდიდატურა წარმოდგენილია იმ 11 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც ყოველთვის ეხეშად ერეოდნენ იმ საკითხებში, რომელიც არჩევანის გაკეთების საშუალებას უნდა იძლეოდეს, ხალხის განწყობებიდან გამომდინარე. გავიხსენოთ იგივე სახალხო დამცველის არჩევნები, რომლის დანიშვნაშიც ძალიან უხეშად ჩაერივნენ არასამთავრობოები, მიუხედავად იმისა, რომ ერთი, მეორე კანდიდატურის გაყვანა საბოლოოდ მაინც შეძლეს ხალხის ნების იგნორირება და ამ იგნორირების უკან საკუთარი კანდიდატურის წარმოდგენა. მსგავსი რამ ხდება ახლაც. თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციათა ძალიან დიდი ნაწილი პოლიტიკური კონიუნქტურის ტყვეობაში რჩება, ნაციონალურ მოძრაობასთან მათი აქტიური ალიანსიდან გამომდინარე, ადვილად წარმოსადგენია, რომ თამარ ჟვანიას კანდიდატურაც იმ ყბადაღებული კოჰაბიტაციის პროცესში შექმნილი პროდუქტია და რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, როგორც ჩანს, კოჰაბიტაციის ფარგლებში იმ დაკვეთილი შედეგის მისაღებად, რომლითაც ნაციონალურმა მოძრაობამ რაღაც შედეგი უნდა აჩვენოს, ისეთი შედეგი, რომ მოხდეს მისი შემდგომი ლეგიტიმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის და შემდგომ საპარლამენტო არჩევნებისთვის. მას არის აუცილებლად გასათვალისწინებელი. მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძეს აქვს ძალიან მზარდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, ვფიქრობ, მას ძალიან გაუჭირდება ამ არათანაბარ პირობებში არჩევნების მოგება.

# ზურაბ ბიგვავა: „საგანელიძემ „ქართულ ოცნებაში“ თავისი მმართველი გუნდის შექმნა მოინდომა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

„მრეწველებთან“ ერთად განთქმული არიან არჩევნების გაყიდვით და თუ ამ კაცმა შეიგნო ის, რომ დროა, დატოვოს სავაჭრო-საზავო პარტია იმისდა მიუხედავად, რომ თვითონ იყო ერთ-ერთი ლიდერი, კარგის მეტი არაფერი მიგრძვნია მის მიმართ. საგანელიძემ მოახერხა ის, რომ ბიძინა ივანიშვილის კარზე ყოფილიყო ერთ-ერთი მისაღები ფიგურა და მას ივანიშვილმა ჩააბარა საარჩევნო შტაბი, ხოლო შემდგომ—უმრავლესობის ლიდერობა. რაშიც, როგორც, მე ვიცი, ბატონმა გია ხუხაშვილმაც ითამაშა დიდი როლი. რაში ვდებ მას ბრალს და რატომ საყვედურობენ სხვები? ბატონმა დავით საგანელიძემ, როგორც კი გაიმყარა პოზიციები ქართულ ოცნებაში, ის შეეცადა სადაც კი მიუწვდება ხელი, ყველგან დაეკომპლექტებინა თავისი კადრებით დაწყებული „მემარჯვენეებით“, ნაცნობ-ნათესავებით და „ნაციონალებითაც“ კი. მან გვერდზე გასწია ის ადამიანები, ვინც 1 ოქტომბრის გამარჯვება მოიტანა. ის ადამიანები, ვინც უანგაროდ თავიანთი ოჯახის ყოფნა-არყოფნის ფასად იბრძოდნენ ნაციონალების წინააღმდეგ, აღმოჩნდა ყველა ქუჩაში, ხოლო ადამიანები, ვინც მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ, ან სრულიად კომფორტულად გრძნობდნენ თავს „ნაციონალებთან“, დაასაქმეს. საგანელიძემ მოინდომა „ქართულ ოცნებაში“ თავისი მმართველი გუნდის შექმნა, რომელიც მხოლოდ პირადად მას დაემორჩილებოდა. გამგებლები, თუ ვინც გინდათ, უიმისოდ არ ინიშნება. ის, რომ მათ აქვთ ექვსეულის ფორმატი, მოჩვენებითია, თუმცა აქ ყველა კოალიციაში შემავალი პარტია ცდილობს თავისი კაცი „შეტენოს“, ხოლო პროფესიონალიზმის ინსტიტუტი არ მუშაობს. უბრალოდ, ყველა ცდილობს ვიწრო პარტიული ინტერესიდან გამომდინარე დაითრიოს რაც შეიძლება მეტი სავარძელი. მან სამეგრელოში პარტიულ თანამდებობებზე დანიშნა ყოფილი მხედრიონელები. ის ეწინააღმდეგება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების დანიშვნას. უფრო სწორად, ებრძვის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს და ცდილობს მხედრიონის რეანიმაციას სამეგრელოში. ასევე დავით საგანელიძემ დაიწყო დიდი ბიზნესების ლობირება. ის თვითონაც გამოცდილი ბიზნესმენია. ერთ დროს საქართველოში მხოლოდ საგანელიძის შაქარი იყიდებოდა, ასევე დიდ ფულს იღებდა საარჩევნო კომისიებში. მაგალითად, მარტვილში ვინც „მემარჯვენეებიდან“ იყვნენ, ყველა პირწავარდნილი „ნაციონალი“ იყო შემდგომში. ასე, რომ მან კარგად იცის რას ნიშნავს ბიზნესის ლობირება და რაა მისი ფასი. დავით საგანელიძე ისე გაკადნიერდა, რომ როცა მიდიხარ მასთან შეხვედრაზე, ის ხალხს ისე ღებულობს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ბატონი ყმას, ან ფარაონი—მონას. რისი მნახველი მეც გახლავართ. ყოველივე ამან გამოიწვია საგანელიძის პიროვნებისადმი პროტესტი და ეს პროტესტი გამოიხატა მისი ფიტულის დაწვაში. რატომ მაინცდამაინც ფიტულის დაწვა? ჩვენ გვინდოდა მიგვექცია ბატონ ბიძინა ივანიშვილის ყურადღება მისი ლიდერებისადმი და ვფიქრობ ჩვენ ამას მივაღწიეთ. დღეს ივანიშვილმა იცის, თუ რა ჩიტი ყავს უმრავლესობის ლიდერად.

***— თუ შეგიძლიათ სამეგრელოს მოსახლეობის განწყობის შესახებ გვითხრათ საპრეზიდენტო კანდიდატებზე, რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე?!***

— სამეგრელოს მოსახლეობა არის იმედგაცრუებული. არ აღმოჩნდა საკმარისი უფასო ხვნათესვა, სასუქების დარიგება, უფასო დაზღვევა, უფასო ბაგა-ბაღი, ციხეებში ადამიანური მოპყრობა და პიროვნების თავისუფლება. არ აღმოჩნდა და რატომ? იმიტომ რომ ნდობა ბიძინა ივანიშვილის პიროვნებისადმი იყო უფრო დიდი და მოლოდინებით სავსე. ამას ხელი შეუწყო უდავოდ ბევრმა დაპირებამ. დაპირებების ზუსტად ის ნაწილი ვერ შესრულდა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანების ცხოვრებისეულ მოთხოვნილებას და კეთილდღეობას. პირველი და ყველაზე მთავარი: ამ ხალხმა ვერ შეამჩნია სამართლიანობის აღდგენის მცდელობაც კი. ვინც მათ ჩაგრავდა, ამცირებდა და დასცინოდა, დღესაც პირში უცინის და დასცინის. ღირსებაშელახულმა სამეგრელომ ვერ აღიდგინა ღირსება. ბევრს ჰგონია, რომ სამეგრელომ სირცხვილი ნახა საპარლამენტო არჩევნებში და მას დასცინოდნენ კიდეც. არავის მოსვლია აზრად 21 წლიანი ნგრევების და დამონების შემდეგ სამეგრელოს რეგიონისგან სხვა შედეგი მიეღო. არავის თითი-თითზე არ დაუკარებია სამეგრელოში ამ 11 თვის განმავლობაში სიტუაციის შესაცვლელად. სამეგრელომ პირიქით, ნახა ის, რომ თურმე მთავარი ბრძოლა კი არ არის, არამედ მთავარია გყავდეს ნაცნობები ზემოთ ხელისუფლებაში და სადაც არ უნდა იდგე, არაფერი გემუქრება, ხოლო თუ უპატრონო ხარ, შენი დამსახურება, ნიჭი და პროფესიონალიზმი შეგიძლია გაატანო ენგურს, რომ ჩარეცხოს შავ ზღვაში. სამეგრელომ ვერ ნახა ის დაპირება, სადაც სამეგრელო აფხაზებისთვის მიმზიდველი უნდა გამხდარიყო ეკონომიურად. პირიქით, სამეგრელო უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა. განსაკუთრებით „ნაციონალების“ წინააღმდეგ ვინც იბრძოდნენ, მათი ღირსება კიდევ ერთხელ საგანელიძემ და „ქართულმა ოცნებამ“ შელახა. მათ უთხრეს: თქვენ ვერ მოიგეთ არჩევნები და არ ხართ „ქართული ოცნების“ სრულფასოვანი წევრებიო. ეს გულანთებული ხალხი დატოვეს „ნაციონალების“ დასაცინად. „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალებით გაჭედა გამარჯვებული პარტია, რომლის გამარჯვებაც იმ გმირებმა მოიტანეს, ვინც „ოცნებამ“ ქუჩაში გაყარა. გაყარა, როგორც კეთროვნები. არ ახალია, რომ რევოლუცია ჭამს თავის გმირებს, მაგრამ ამ გმირებისგან რატომ უნდა ითხოვდე სიყვარულს, ერთგულებას და პატივისცემას? ამ გმირებს უფროსად უნიშნავ ადამიანს, რომელიც ახლოსაც არ გაკარებია „ოცნების“ შტაბს არჩევნებამდე და მხოლოდ იმიტომ ნიშნავ, რომ შენი მეგობარია, შენთან რაგბი უთამაშნია, ან შენი ყოფილი ბიზნესპარტნიორია და მნიშვნელობა არა აქვს, ის „ნაციონალების“ შემსრულებელი იყო, თუ დამკვეთი. ასევე იქნა დაშვებული დიდი შეცდომა, როცა მაღალი ეშელონების ჩინოვნიკებმა დაიწყეს სამართლიანობის აღდგენა თავიანთი პირადი საქმეებიდან, ხოლო უბრალო მომაკვდავი ადამიანების ჩამოდეს თაროზე.

***— როგორ პროგნოზს გააკეთებდით საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით?***

— რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების პროგნოზს, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ძირფესვიანად არ შეცვალა თავისი მიდგომა ამომრჩევლებისადმი, მისი კანდიდატი შეიძლება მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს სამეგრელოში. დღეის მდგომარეობით ალბათ პირველზე გავა-ბურჯანაძე, მეორეზე-ბაქრაძე, და მესამეზე-მარგველაშვილი. აი, სანამდის მიიყვანა კოჰაბიტაციამ „ქართული ოცნება“.

რაც შეეხება კრიზისიდან გამოსავალს, მე ვხედავ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში. ოღონდ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს ბიძინა ივანიშვილის პრემიერ მინისტრობის ფონზე. ივანიშვილის გადადგომა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოიწვევს სახელისუფლებლო ქაოსს, რომელსაც შეიძლება „ქართული ოცნება“ გადაჰყვეს. დარწმუნებული ვარ, რომ „რესპუბლიკური პარტია“ და „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება მოლაპარაკებას ხელისუფლების შემდგომი გადანაწილებისთვის. მათთვის საფრთხის შემცველია ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლა.

# „მარგველაშვილმა ბენდუქიძე წამებულად შერაცხა“

თამარ ნინიძე



ნაციონალებსა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შორის კოჰაბიტაციას ბევრი ადამიანი ფარსს უწოდებს, ამ გაუმართლებელი ჰარმონიული ურთიერთობების შედეგად ადამიანები, ვინც წინა ხელისუფლების დროს დაზარალდნენ, სამართალს ვერ პოულობენ. ერთ-ერთი მათგანია „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი კომიტეტის წევრი გურამ ხოზრევანიძე, რომელიც 26 მაისის აქციის დროს აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. „ახალ თაობასთან“ საუბარში გურამ ხოზრევანიძე არსებულ ხელისუფლებასაც სერიოზულ ბრალდებებს უყენებს.

*— როგორ დაიწყო თქვენი პოლიტიკური დევნა?*

– 2011 წლის 26 მაისს „დემოკრატიული მოძრაობის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვიყავი, რა თქმა უნდა, გახლდით 26 მაისის აქციის მონაწილე. მეც სხვებივით დავზარალდი, თავი გამიხეთქეს, დამაპატიმრეს. მიუხედავად ამისა, მაინც გამოვედი ტელევიზიით და ვანო მერაბიშვილი და მაშინდელი ხელისუფლება გავაკრიტიკე. ნაციონალების კრიტიკას არ ვერიდებოდი პრესის საშუალებითაც. ამის გამო მაშინდელმა რეჟიმმა, დედაჩემი, რომელიც იყო ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჰერეთისკარის სკოლის დირექტორი, შაშკინის ბრძანებით დირექტორობიდან გაათავისუფლა. მაშინ შეიკრიბნენ რაიონის გამგებლის მოადგილე, პოლიციის უფროსი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი, სასწრაფოდ მოიწვიეს სამეურვეო საბჭოს ხდომა, სხდომის ოქმიც კი არ დაუწერიათ, ამ დროს კი დედაჩემი დამსახურებული პედაგოგია, ქიმიის დარგში მისმა აღსაზრდელებმა საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში კარგი შედეგი აჩვენეს, დამსახურებული პედაგოგიური მოღვაწეობის გამო პრეზიდენტის სტიპენდიატიც იყო. დაიწყეს მოქმედებები, რომ პედაგოგობიდანაც გაეთავისუფლებინათ. სამი საყვედური ისე გამოუცხადეს, დედაჩემმა არც კი იცოდა. ერთ-ერთი საყვედური იმის გამო მიიღო, რომ არ შეასრულა სკოლის ხელმძღვანელობის ბრძანება, ხმა მიეცათ მისი კლასის მშობლებს ნაციონალური მოძრაობისთვის. 1 ოქტომბერს ხელისუფლება რომ შეიცვალა, მისი სკოლიდან გაშვება ვეღარ მოასწრეს, შევიტანეთ განცხადება განათლების სამინისტროში იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკურად რეპრესირებული იყო. მაშინდელმა მინისტრმა მარგველაშვილმა არასამთავრობოებთან ერთად პოლიტიკური რეპრესირებულების საქმეების შემსწავლელი კომისია შექმნა. ოცჯერ მაინც მივაკითხე განათლების სამინისტროს და მოვიკითხე ჩვენი საქმე, მიპასუხეს, რომ კომისია ყველა საქმეს სწავლობს. ერთი წელი გავიდა და პასუხიც არ მაღირსეს. იქ სულ რვაასი საქმე იყო, აქედან ორასი საქმე დაუშვებლად ცნეს და დარჩა ექვსასი საქმე. მიკვირს, ეს ექვსასი საქმე ერთი წლის მანძილზე როგორ ევრ შეისწავლეს? რაიმე პასუხი მაინც მიგვეღო, ეთქვათ. ვერ შევისწავლეთ, ან არ ექვემდებარებით შესწავლას, არ ხართ რეპრესირებულიო, ასეთი პასუხიც არ მიგვიღია. ესენი ნაციონალების მსგავსად მოქმედებენ, მხოლოდ იმას ამბობენ, გვაცალეთო.

*— თქვენ მიმართ გრძელდებოდა რეპრესიები?*

— დიახ. ახალი დირექტორი. რომელიც დედაჩემის ადგილზე დანიშნეს, მხოლოდ იმ უპირატესობით სარგებლობს, რომ არის ნაცმოძრაობის გავლენიანი წევრების ახლო მეგობარი. ლაგოდეხის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა თურმე 2002–2005 წლებში. ასეთი სასწავლებლები ყველა სადარბაზოში იხსნებოდა. ერთი მითხარით, სად ასწავლიან მხოლოდ სამ წელიწადს, ყველგან ბაკალავრიატი ოთხწლიანია, ამ პიროვნებამ კი სამ წელიწადში როგორ დაამთავრა უმაღლესი? ეჭვი მაქვს, რომ ყალბი დიპლომი ჰქონდა აღებული. 1 ოქტომბრის შემდეგ სამართლიანობის აღდგენას ველოდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ესეც უშედეგოა. მართალია დირექტორების გამოცდები ჩატარდა, მაგრამ ეს პიროვნება არ გაუთავისუფლებიათ, იმის მიუხედავად, რომ გამოცდა ვერ ჩააბარა. ასე ახსნეს, გასაუბრების შემდეგ ბევრი გაიცხრილებაო, აქაც მაქვს ეჭვი, რომ გასაუბრების შემდეგ იმათ დატოვებენ თანამდებობაზე, ვინც მათი ახლობელია ან ფულით იყიდის თანამდებობას. ერთმა ექსპერტმა სწორად შეაფასა არსებული პოლიტიკური ვითარება, ეს კოჰაბიტაცია კი არ არის, არამედ რაღაც სიმბიოზიაო, მეც ვეთანხმები ამ შეფასებას. იმ სკოლის დირექტორმა მამაჩემსაც შეუმცირა აკადემიური საათები, მეტიც, უთხრა, ამ ადგილას მინდა ჩემი მეგობარი იყოს გაფორმებული, თქვენ გაკვეთილები ჩაატარეთ და ხელფასი აიღეთ, გაფორმებული კი ის მეგობარი იქნებაო. ხვალ რომ ის ადამიანი მოვიდეს და თქვას, ამ ადგილზე მე ვარ გაფორმებული და თქვენ უნდა წახვიდეთო, მამაჩემსაც მოუწევს ყველაფრის დატოვება, აქაც კორუფციის თაობაზე მაქვს ეჭვი. ისე არიან შეზრდილები ნაციონალები და ახალი ხელისუფლება ერთმანეთთან, რომ განაგრძობენ არასასურველი ადამიანების დევნას და რეპრესიებს. ასეთი არასასურველი მე ვარ და ჩემო ოჯახი, რადგან ბურჯანაძის პარტიის წევრი გახლავართ. გვთავაზობენ, რომ პრეზიდენტად მარგველაშვილი ავირჩიოთ, არ მწამს, რომ ადამიანი შეიძლება შეიცვალოს ერთ ან ორ წელიწადში, ზუსტად ისეთი პრეზიდენტი იქნება, როგორიც განათლების მინისტრი იყო. იმდენი შეძლო, რომ თალლითი ბენდუქიძე წამებულად გამოიყვანა. ნარმანია და ხადური ისევ კითხულობენ უნივერსიტეტში ლექციებს, ლელა გაფრინდაშვილი კი ჯერ არ აღუდგენიათ. მე უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, არც ჩემი შესანიშნავი ლექტორები აღადგინეს თავის ადგილზე.

*— თქვენ კარგა ხანს ბათუმშიც ეწეოდით პოლიტიკურ საქმიანობას, იქნებ გვითხრათ, იქ რაიმე შეიცვალა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ?*

— არაფერი შეცვლილა, უფრო გაუარესდა მდგომარეობა, უმაღლეს საბჭოში ადამიანებს შენობამდე არ უშვებენ, რომ სამდივნომდე მაინც მივიდნენ. მე არასწორად ვიყავი დაპატიმრებული და არავინ მეუბნება, რომ ჩემი საქმის გამო ვინმე დაისჯება და იმ ადამიანებს პასუხს აგებინებენ.

*— გქონდათ პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში ეკა ბესელიასთან შეხვედრის შესაძლებლობა?*

— არა, არ მქონია, რადგან ჩემს საქმეს პროკურატურა სწავლობს. წესით ასეა, რას სწავლობენ ამდენ ხანს, არ ვიცი. ახალი კანონებია მისაღები, ეს პარლამენტი კი გაუგონარი კანონებისთვის იცლის. ვნახოთ, რა იქნება. მინდა, რომ სამართალი მალე აღდგეს და არ ველოდო ოცდაათი წელი.

# „ცრუ შეტყობინების ავტორების მიმართ კანონი კიდევ უფრო გამკაცრდება“

## შსს ტერორიზმის მოყვარულებს აფრთხილებს

მერი ნამორაძე

ადამიანებმა ცრუ შეტყობინებებით გართობა დაიწყეს. ამა თუ იმ დაწესებულებაში ნაღმის არსებობის შესახებ ინფორმაცია გახშირდა, მაგრამ რად გინდა, გართობის მოყვარულებს კოვზი ნაცარში უვარდებათ, იმდენად ოპერატიულად რეაგირებს ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეტყობა, მავენი შსს-ს ოპერატიულობის გამოცდით ერთობა, თორემ ასე ზედიზედ, გართობის ერთნაირი ფორმა აერჩიათ არასრულწლოვნებს სხვადასხვა ქალაქში, ისტორიას არ ახსოვს.

გუშინ შსს-მ ტელეკომპანია „იმედში“ ნაღმის არსებობის შესახებ განხორციელებული ზარის ავტორის ვინაობა ერთ საათში დაადგინა. ის 2000 წელს დაბადებული დავით ბ. აღმოჩნდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში ცრუ შეტყობინება 16 სექტემბერს, 14:19 საათზე შევიდა. ანონიმური ზარის ავტორმა ცენტრის ოპერატორს ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე ტელეკომპანია „იმედი“-ს შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა.

შეტყობინების მიღებისთანავე ადგილზე შსს-ს შესაბამისი სამსახურები გამოცხადნენ. ჩატარებული განაღმვითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებას. ტელეკომპანიის შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს რომელსაც შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო აწარმოებს.

ცრუ ზარებით გამრთობთა სამიზნე პარლამენტის შენობაც გახდა. დადგენილია იმ პიროვნების ვინაობა, რომელმაც 112-ში პარლამენტში ბომბის არსებობის შესახებ დარეკა და, როგორც წინასწარ ირკვევა, ის იმერეთის მკვიდრია. ბომბის შესახებ შეტყობინების შესვლის მომენტში პარლამენტში თინა ხიდაშელის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომა იმართებოდა. თუმცა, კომისიის სხდომა არ ჩაშლილა და განსახილველ საკითხებზე გადაწყვეტილება დაჩქარებული წესით მიიღეს.

ორიოდე დღის წინ, ღამით, ევაკუაცია ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“-ც გამოცხადდა. ინციდენტის დრო პირდაპირ ეთერში გადაცემა „პი-ეს“ მიმდინარეობდა. სარეკლამო ჭრის დროს, გადაცემის გუნდმა „რუსთავი 2“-ის ძველ შენობაში გადასვლა მოახერხა და გადაცემა იქიდან განაგრძო. ჩატარებული განაღმვითი სამუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებას. ტელეკომპანიის შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

12 სექტემბერს ცრუ სატელეფონო შეტყობინებები აეროპორტში, „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ ბომბის არსებობის შესახებ დაფიქსირდა. ცრუ ზარების ყველა ავტორი დადგენილია. აეროპორტის შემთხვევაში ცრუ ზარის ავტორი სამტრედიელი მოზარდი აღმოჩნდა. „იმედში“ ბომბის არსებობის შესახებ მარტვილის რაიონში მცხოვრებმა 1998 წელს დაბადებულმა და თერჯოლის რაიონში მცხოვრებმა, 2002 წელს დაბადებულმა მოზარდებმა დარეკეს. ყველა ამ შემთხვევაში მოზარდებმა მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მიიღეს. „რუსთავი 2“-ში ბომბის შესახებ ზარის ავტორი სრულწლოვანი მოქალაქე კი დაკავებულია.

მოქმედი კანონმდებლობით, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. იგივე ქმედება: ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ჩადენილი არაერთგზის; რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

ამ ინციდენტების შემდეგ შსს ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაზე კანონის გამკაცრების ინიციატივით გამოვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო, მოქალაქეებს ცრუ შეტყობინებების განხორციელებისგან თავი შეკავებისკენ კატეგორიულად მოუწოდებს.

„ცრუ შეტყობინებების ავტორები ოპერატიულად იქნებიან დადგენილები და კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ისჯება.იმ შემთხვევაში, თუ ცრუ ზარის ავტორი არასრულწლოვანია, პასუხისმგებლობა დანაშაულზე მის მშობლებს ან მეურვეებს დაეკისრება. ამასთანავე, ზიანის ანაზღაურება, რომელიც ცრუ განგაშის შედეგად ორგანიზაციებს მიადგათ, ზარის არასრულწლოვანი ავტორის მეურვეებს დაეკისრებათ.აქვე, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ მიმდინარე თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ცრუ შეტყობინების ავტორების მიმართ კანონი კიდევ უფრო გამკაცრდება“ — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაზე კანონის გამკაცრებას გამოეხმაურა პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი: - ეს ის კანონია, სადაც თუ არ იხუმრებ ბოროტად, ის შენ არასდროს არ შეგეხება. ასეთი ტიპის პრევენციული ხასიათის კანონმდებლობის გამკაცრების მომხრე ვარ იმიტომ, რომ ეს რაღაც აბსურდი უნდა დამთავრდეს“ - აღნიშნა ხიდაშელმა.

არასრულწლოვანთა მშობლებს ისღა დარჩენიათ საგულდაგულოდ გააკონტროლონ თავზეხელაღებული მოზარდები. სრულწლოვანებს კი ცრუ ზარებით გართობისთვის სასჯელის მოხდა მოუწევთ.

# მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლება ძალიან დაბალი ტემპით მუშაობს“

შორენა გონგლაძე

ახალი მემარჯვენეები ხელისუფლებას მუშაობის ტემპს უწუნებენ.



მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის განცხადებით, ხელისუფლება ძალიან დაბალი ტემპით მუშაობს და დღემდე გაურკვეველია, რა ცვლილებები შევა კონსტიტუციაში. მიმდინარე საარჩევნო პროცესებზე და საკონსტიტუციო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში შესაძლო ცვლილებებზე მამუკა კაციტაძემ გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. კაციტაძის განცხადებით, ხელისუფლება თავს ვერ გაიმართლებს.

— ვერ გამოდგება არგუმენტად ის, რომ ბევრი საქმე გვქონდა და ამ საქმემდე ვერ მივედით. მიმდინარე წლის თებერვალში საუბარი იყო, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებებზე ასევე ადგილობრივ თვითმმართველობაზე, მას შემდეგ შვიდი თვე გავიდა და ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადადგმულა. მომავალში არაფერია გადაწყვეტილი, არ ვიცით, როგორი იქნება საარჩევნო სისტემა, როდის ჩატარდება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. — აცხადებს კაციტაძე და ხელისუფლებას მოუწოდებს, დროულად წარმოადგინოს მომავალი წლისთვის დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი, საარჩევნო სისტემა და თვითმმართველობის კონცეფცია. როგორც კაციტაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, ხელისუფლება დაბალი ტემპებით მუშაობს და გაუგებრობაში ტოვებს პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც არ იციან, რა სისტემით ჩატარდება მომავალ წელს თვითმმართველობის არჩევნები.

კაციტაძის განცხადებით, მომავალი წლის 17 ივნისს საკრებულოების უფლებამოსილება წყდება. კანონმდებლობით, პრეზიდენტმა 2014 წლის 17 აპრილამდე უნდა დანიშნოს არჩევნები. როგორც კაციტაძე აცხადებს, თუ პოლიტიკური პარტიებისთვის დროულად არ გახდა ცნობილი, როგორი იქნება საარჩევნო სისტემა, ადმინისტრაციული მოწყობა, ასევე არჩევნების თარიღი და ის, თუ რამდენი მაჟორიტარის წარდგენა მოუწევთ მომავალ არჩევნებში, მათთვის რთული იქნება არჩევნებისთვის მომზადება.

— ეს პროცესები თავდაყირა აყენებს პოლიტიკური პარტიების მზაობას და აბნევს ამომრჩეველს, რომელმაც არ იცის, რა ტიპის ბიულეტენი დახვდება არჩევნებზე მისულს, — აცხადებს კაციტაძე. მისსივე თქმით, ინტერფრაქციული ჯგუფი უახლოეს დღეებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებულად კიდევ ერთხელ დააყენებს ამ საკითხს და ხელისუფლებისგან მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს კითხვებზე, — როდის ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები და რა სისტემით.

# ნინო ბურჯანაძე ახმეტასა და ყაზბეგში ამომრჩევლებს შეხვდა

პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, გუშინ ამომრჩევლებთან შეხვედრები ახმეტის რაიონში გამართა. პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ახმეტის ცენტრში მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

,,ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი ხალხმრავლობაა ამ შეხვედრაზე. მე მინდა, რომ ახმეტელებმა მოისმინონ ჩემი ხედვა, თუ როგორ ვაპირებთ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას და გვინდა, რომ მოვუსმინოთ მათ, თუ რა უჭირთ, რა ულხინთ, რა პრობლემები აწუხებთ და ემთხვევა თუ არა ჩვენი ხედვები ერთმანეთს.

მე, ვიდრე აქ მოვიდოდი, მქონდა ადამიანებთან შეხვედრა და ძალიან კარგად ვიცი ძირითადად რა პრობლემები აწუხებთ მათ, ეს არის უსამართლობა, უმუშევრობა და სოციალური პრობლემები. მე ვპირდები ახმეტის მოსახლეობას, რომ ნამდვილად ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგეს ყველგან და ყველასთვის. ასევე მინდა მივმართო მთელი საქართველოს ყველა კუთხის მაცხოვრებელს, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც მათ აწუხებთ ნამდვილად მოგვარდება. შემიძლია კახელებს ვუთხრა, რომ მოგვარდება მათი პრობლემები, მათი შრომა დაფასდება და ისინი შეძლებენ თავიანთი შრომის ნაყოფის რეალიზაციას. ასევე შემიძლია ვუთხრა აჭარლებს, რომ ისინი ნამდვილად მიიღებენ იმ სარგებელს რომელიც აჭარის განვითარების შედეგად იქნება შესაძლებელი. შემიძლია ვუთხრა მეგრელებს, რომ სამეგრელო და ზუგდიდი ჩიხი აღარ იქნება და მეგრელები ღირსეულად იგრძნობენ თავს საკუთარ კუთხეში. ეს არის ჩვენი ძირითადი გზავნილები, რომელიც მე მინდა რომ დღეს ახმეტის მოსახლეობამ მოისმინოს“-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ.

15 სექტემბერს კი ნინო ბურჯანაძე ყაზბეგის მოსახლეობას შეხვდა. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ,,დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი თანაპარტიელებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო.

როგორც ბურჯანაძემ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მნიშვნელოვანია ამუშავდეს ის კანონი, რომელიც მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს იყო მიღებული, (მთის კანონი) სადაც გაწერილი იყო თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მთა არ დაიცალოს.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ის პრეზიდენტად იქნება არჩეული, აღნიშნულ კანონს უპირობოდ აამოქმედებს. ყაზბეგის მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატი პატრიარქის სოფელს, სნოსაც ეწვია.

ნიუსპრესი

## თბილისში „ქართული ოცნების“ 100-ზე მეტი წევრი ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში გასაწევრიანებლად მივიდა

გუშინ, თბილისში, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერისა და პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბთან, კოალიცია „ქართული ოცნების“ 100-ზე მეტი მხარდამჭერი მივიდა. რომლებიც კოალიციის დატოვებისა და ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში გაწევრიანების სურვილის შესახებ გააკეთეს განცხადება. ინფორმაცია ამის შესახებ „ნიუსპრესს“-ს პარტიის პრესსამსახურის უფროსმა ბაკურ ბაკურაძემ მიაწოდა.

ბაკურაძის თქმით, „ქართული ოცნმების“ წევრები, მათ მიერ კოალიციის დატოვების მიზეზად სამართლიანობის აღდგენის პროცესის ჩავარდნასა და გაუგებარ ე.წ. კოჰაბიტაციას ასახელებენ.

**ნიუსპრესი**

## სალომე ზურაბიშვილის „საინიციატივო ჯგუფი“ სააპელაციო სასამართლოს პოლიტიკურად მოტივირებაში ადანაშაულებს



სალომე ზურაბიშვილის „საინიციატივო ჯგუფი“, სააპელაციო სასამართლოს პოლიტიკურად მოტივირებაში ადანაშაულებს და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერის და სხდომის ოქმის გადაცემას აჭიანურებს.

„ვაცხადებთ, რომ სააპელაციო სასამართლო შეგნებულად აჭიანურებს ჩვენთვის ორივე ინსტანციის სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერის და სხდომის ოქმის გადმოცემას. ეს გვიზღუდავს შემდგომ სამართლებრივ ნაბიჯებს და არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებულია.

მოსარჩელე მხარემ 2013 წლის 12 სექტემბერს, ოფიციალური წერილით №3/2461 მიმართა სააპელაციო სასამართლოს, სადაც გადმოსაცემად, 2013 წლის 6 სექტემბერს 11.00 საათზე პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩატარებული, ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის ამსახველ სხდომის ოქმს, დამოწმებული აუდიოვერსიის და სტენოგრაფის ასლს ვითხოვდით.

მოგეხსენებათ საქმის წარმოება, სააპელაციო პალატის დასაბუთებული განჩინების მოსარჩელე მხარისთვის ოფიციალურად ჩაბარებამდე დასრულებულად არ ითვლება.

გვინდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული განჩინება აუცილებლად გასაჩივრდება სტრასბურგში – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში და საქმის პოლიტიკური და სამართლებრივი მოტივებიდან გამომდინარე, შესაძლოა სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება, მისი დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე. ამიტომ მოვითხოვთ სასამართლომ დაუყონებლივ მოგვაწოდოს ჩვენს მიერ მოთხოვნილი საქმის მასალები და კანონის ჩარჩოებში მოექცეს“ – ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის მშობლებს სტუმრობდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გუშინ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მშობლებს ახალციხეში ესტუმრა. მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილის მშობლების სახლში დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო. პრეზიდენტის სტუმრობის მიზეზი სავარაუდოდ, პატიმრობაში მყოფი მერაბიშვილის მშობლების მონახულება და მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე მათი ინფორმირება იყო .

პრეზიდენტი ახალციხეში ახალქალაქიდან ჩავიდა სადაც დღეს დილიდან მიხეილ სააკაშვილი, რამდენიმე სკოლას ესტუმრა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სკოლის მოსწავლეებს ახალი სასაწავლო წლის დაწყება მიულოცა.

**ნიუსპრესი**

## გიორგი თარგამაძე სასკოლო სახელმძღვანელოებზე საჯარიმო სანქციების გაუქმებას მოითხოვენ



ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი თარგამაძემ მოძრაობის ლიდერებთან ერთად ბავშვებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და სასკოლო სახელმძღვანელოების მოსწავლეებისთვის გარკვეული ვალდებულებებით გადაცემის შესახებ სოციალურად დაუცველ ანსუპოვების ოჯახში ისაუბრა.

„ქრისტიან-დემოკრატების პარლამენტში დაყენებული ინიციატივით გასული ორი წლის განმავლობაში სიღარიბის ზღვარს მიღმა პროგრამაში მყოფი ოჯახების 150000 მოსწავლე უფასოდ იღებda სასკოლო სახელმძღვანელოებს. ერთმნიშვენლოვნად პოზიტიური ნაბიჯია ის, რომ დღეს ყველა მოსწავლე უფასოდ იღებს სახელმძღვანელოს, მაგრამ ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის საჯარიმო სანქციები, რომლებიც წიგნის სულ მცირე დაზიანების შემთხვევაში მოსწავლეებს დაეკისრებათ. პრობლემას ამძაფრებს ის, რომ თუ აქამდე გამომცემლობები ერთი წიგნის ბეჭვდაში 4 ლარს იხდიდნენ და ამ წიგნის ხარისხი მაშინაც კი საკამათო იყო. დღეს განათლების სამინისტრომ წიგნი 2 ლარად შეუკვეთა, შესაბამისად, ხარისხი ორჯერ გაუარესდა. ბავშვები და მშობლები მუდმივი სტრესის ქვეშ იქნებიან, რადგან წიგნის დაზიანების შემთხვევაში მშობელს მისი საბაზრო ღირებულების გადახდა მოუწევთ. ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის,“ – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მისივე თქმით, ქრისტიან-დემოკრატები მკაცრად დააკვირდებიან ამ პროცესს და ასევე საჯარიმო სანქციების ერთმნიშვნელოვნად გაუქმებას მოითხოვენ.

**მედიანიუსი**

## „მაია მიმინოშვილმა პედაგოგებს ბოდიში უნდა მოუხადოს“ პედაგოგის ხელფასი 900 ლარიდან უნდა იწყებოდეს

**მერი ნამორაძე**

რა პერსპექტივებით ხვდება განათლების სისტემა ახალ სასწავლო წელს? განათლების სამინისტროში პირობას დებენ, რომ პრიორიტეტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა იქნება განურჩევლად იმისა, რომელ რეგიონში სწავლობს მოსწავლე. მინისტრე თამარ სანიკიძე გვპირდება, რომ შეეცდება სკოლებს თანამედროვე და კეთილმოწყობილი გარემო, საერთაშორისო სტანდარტების სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკები, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომფორტული სასკოლო ავეჯი და ახალი ინვენტარი ჰქონდეს.

მასწავლებლის პროფესია საამაყო გახდეს და ყველა მოსწავლემ შესაძლებლობის ფარგლებში წარმატებებს მიაღწიოს.

წელს პირველად არაერთი ათწლეულის შემდეგ მშობლებს სახელმძღვანელოების სიჩვირეზე საწუწუნო აღარ აქვთ, რადგან სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო მოსწავლეთა წიგნებით უზრუველყოფა. როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, გასულ წელს მშობლებმა წიგნების შესაძენად 35 მილიონი ლარი გადაიხადეს. წელს კი 13 მილიონად მოახერხა, სამინისტრომ სახელმძღვანელოებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, ამ შღავათს მიღმა მაინც დარჩნენ კერძო სკოლების მოსწავლეები.

ახალ სასწავლო წელს პედაგოგთა ნაწილი ერთობ უკმაყოფილო ხვდება. განსაკუთრებით კი სასერტიფიკაციო გამოცდებზე ზღვარგადაულახავი პედაგოგები, რომლებსაც სერიოზული პრეტენზიები აქვთ გამოცდების ეროვნულ ცენტრთან.

გუშინ, „განათლების პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ლაცაბიძე „გამოცდების ეროვნული ცენტრის"ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილისგან პედაგოგების წინაშე ბოდიშის მოხდა მოითხოვ. როგორც ლაცაბიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიმინოშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებლებს, როდესაც სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების გამო მათ უცოდინრები და დროს ჩამორჩენილები უწოდა. „განათლების პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარის განცხადებით, პედაგოგებისთვის გამზადებული ტესტები არ იყო შედგენილი სწორად. მისივე თქმით, "გამოცდების ეროვნული ცენტრი" დღემდე ვერ იძლევა პასუხს, თუ რას ამოწმებს პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები.




პროფკავშირები დარღვევად მიიჩნევს იმ ფაქტსაც, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისათვის მასწავლებლებს საფასურის გადახდა უწევთ. პრობლემად რჩება სკოლისა და ბაღის მასწავლებლების ანაზღაურების საკითხიც.

– ჩვენი მოთხოვნაა აუცილებლად მოემატოს, როგორც მასწავლებლებს, ისე საბავშვო ბაღების აღმზრდელებს და მის თანაშემწეებს ხელფასები. მათი მინიმალური ხელფასი უნდა იწყებოდეს 900 ლარიდან და ეტაპობრივად ემატებოდეს სტაჟისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიხედვით. რის საფუძველზეც განათლების ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს 50%-ით. 20-ჯერ მეტი ხელფასის ქონა არ აძლევს მიმინოშვილს მასწავლებლის შეურაცხყოფის უფლებას“, - განაცხადა „განათლების პროფესიულ კავშირის“ თავმჯდომარემ.

გიორგი ლაცაბიძემ მასწავლებლებისთვის ახალი სადაზღვევო პაკეტის დარიგება მოითხოვა, სადაც სახელმწიფოს მხრიდან გათვალისწინებული იქნება პირველადი მედიკამენტების დარიგება და გეგმიური ოპერაციების უფასოდ ჩატარება.

„განათლების პროფესიული კავშირი“ უახლოეს მომავალში გარდა იმისა, რომ პედაგოგთა უფლებების დაცვაზე იზრუნებს, მათ პროფესიული გადამზადების კურსებსაც შესთავაზებს, რომელიც უფასო იქნება. როგორც პროფკავშირები ამბობენ, ხელფასების ზრდა და შესაბამისი სადაზღვევო პაკეტის ამოქმედება, სტაჟის და კვალიფიკაციის შესაბამისი პენსია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

## რა არის საავტორო უფლებები?

**ეკა ირემაშვილი**

რა არის საავტორო უფლებები? ამ კითხვაზე პასუხს ამომწურავად ქართველ საზოგადოებას „საქპატენტი“ აწვდის:

რა არის საავტორო უფლებები? – საავტორო უფლებები არის უფლებები, რომელიც წარმოიშვება ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით.

რას იცავს საავტორო უფლებები? – საავტორო უფლებები იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში შექმნილი ყველა ნამუშევარი, მისი გამოსახვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორიცაა: ლიტერატურული ნაწარმოებები: წიგნები, ბროშურები, სტატიები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო ნაწარმოებები; ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებები; აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებები; სახვითი ხელოვნების, ფერწერული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრავიურა და ლითოგრაფია; თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები; ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები; დეკორატიული, გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებები; რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს; არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის და საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოებები; გადამუშავებული ნაწარმოებები, კერძოდ, თარგმანი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების სხვაგვარი გადამუშავება; შედგენილი ნაწარმოებები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ; კომპიუტერული პროგრამები; სხვა ნაწარმოებები.

რა მოთხოვნები წაეყენება ნაწარმოებს, რათა მასზე გავრცელდეს საავტორო უფლებები? – საავტორო უფლებებით დაიცვება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ხარისხისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

რა სახის ნაწარმოებებზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები? – საავტორო უფლებები არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე: ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე; სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები); ინფორმაციაზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

რაზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები? – საავტორო უფლებები არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, ახსნილია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში. საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაიცვება იდეის გამოხატვის მხოლოდ ფორმა და არა თვით იდეა.

რა არის საჭირო საავტორო უფლებების წარმოშობისთვის? – საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა მისი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა (მაგალითად: ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, ნოტები, ჩანაწერი, ნაწარმოების საჯაროდ წარმოთქმა (დეკლამირება) და სხვ.). საავტორო უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობების დაცვა. პირი, რომელიც ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე სათანადო წესითაა აღნიშნული, როგორც ავტორი, მიიჩნევა ამ ნაწარმოების ავტორად, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ იქნება დასაბუთებული.

როგორ უნდა დაიცვას საქართველოს მოქალაქემ თავისი საავტორო უფლებები საზღვარგარეთ? – საქართველოს მოქალაქის საავტორო უფლებები ავტომატურადაა დაცული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მონაწილე წევრ ქვეყნებში. ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მოპოვების მიზნით აუცილებელი არ არის რაიმე რეგისტრაციის, დეპონირების ან სხვა ფორმალობების დაცვა. თუმცა, საქართველოს მსგავსად, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაწარმოებთა ნებაყოფლობითი რეგისტრაციის ან დეპონირების შესაძლებლობას.

შესაძლებელია თუ არა ნაწარმოების დეპონირება საქართველოში და რას ისახავს ეს მიზნად? – ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში, საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის სურვილის შემთხვევაში, ითვალისწინებს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის საქპატენტში დეპონირების შესაძლებლობას. დეპონირების შედეგად „საქპატენტის“ მიერ გაიცემა მოწმობა, რომელიც არ წარმოშობს საავტორო უფლებებს და ადასტურებს მხოლოდ დეპონირების ფაქტს, ანუ დეპონირებით დასტურდება მხოლოდ საქპატენტში წარდგენის თარიღისთვის ნაწარმოების ობიექტური ფორმით (ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, ნოტები, ჩანაწერი და სხვ.) არსებობის ფაქტი. დეპონირებისას განმცხადებელმა არ უნდა დაარღვიოს სხვა პირთა საავტორო ან სხვა უფლებები. ამასთან, საქპატენტში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია თავად განმცხადებელი. დეპონირებულ ნაწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯარო შეიძლება გახდეს მხოლოდ თავად განმცხადებლის მოთხოვნით.

ვინ შეიძლება იყოს საავტორო უფლებების მფლობელი? – ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელია ნაწარმოების ავტორი. საავტორო უფლებები ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადადის მის, მემკვიდრეებზე. საავტორო უფლებები შეიძლება გადაეცეს სხვა უფლებამონაცვლესაც (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი). ნაწარმოების სახეობის შესაბამისად, ავტორი შეიძლება იყოს მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი, არქიტექტორი და სხვ. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი ინტელექტუალურ–შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში ავტორებად მიიჩნევიან დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისთვის.

რა უფლებები აქვს ავტორს? – ავტორს აქვს პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები. ავტორის არაქონებრივი უფლებებია: უფლება, აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს თავისი სახელის მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან ნებისმიერი სახით გამოყენებისას (ავტორობის უფლება); უფლება, მიუთითოს ფსევდონიმი და მოითხოვოს ფსევდონიმის მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან ნებისმიერი სახით გამოყენებისას, აგრეთვე, უარი თქვას სახელის მითითებაზე (სახელის უფლება); უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი; უფლება, ნება დართოს, შეიტანონ ცვლილებები ნაწარმოებში, სათაურში ან ავტორის სახელში (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება); უფლება, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯების ან სხვაგვარი ხელყოფისგან, რამაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება); უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ მის ნაწარმოებს სხვა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი და სხვ.); უფლება, საჯაროდ მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ქონებრივი უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება დაუშვებელია. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც გულისხმობს მის უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს: ნაწარმოების რეპროდუცირება. ნაწარმოების რეპროდუცირება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის გადაბეჭდვის ან ასლის გადაღების გზით, მაგნიტური ფირის გამოყენებით, ციფრული ფორმით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით. თუმცა, ავტორის მიერ ან მისი ნებართვით კომერციული მიზნით ნაწარმოების ორი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

დასაწყისი მე-7 გვერდზე

# რა არის საავტორო უფლებები?

გინალის ან ასლების საქართველოში პირველი გაყიდვით ამოიწურება ნაწარმოების საქართველოს ფარგლებში შემდგომი გავრცელების უფლება; ნაწარმოების საჯარო ჩვენება (მაგალითად: ნახატის ან ფოტოს დემონსტრირება); ნაწარმოების საჯარო შესრულება (მათ შორის, ნაწარმოების საზოგადოებისთვის უშუალოდ დეკლამაციის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით (ცოცხალი შესრულება), ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით). ამასთან, საჯარო შესრულებას ადგილი არა აქვს მაშინ, თუ ის ხორციელდება ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეში; ნაწარმოების საჯარო გადაცემა, კერძოდ, გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა რადიო– ან ტელეეთერში, კაბელით ან იტერნეტით; ნაწარმოების თარგმნა; ნაწარმოების გადამუშავება; ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა.

საქპატენტი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

რა თავისებურებებით გამოირჩევა კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის ავტორის უფლებები? – კანონის მიხედვით, დაზუსტებულია და დამატებით განმარტებულია ზოგიერთი სახის ნაწარმოების ავტორთა ქონებრივი უფლებები. კერძოდ, კომპიუტერული პროგრამის ავტორს უფლება აქვს განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს მისი რეპროდუცირება, ანუ ჩატვირთვა, ჩვენება, შენახვა; პროგრამირების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, ადაპტირება, სისტემატიზაცია და სხვ. მონაცემთა ბაზის ავტორს, კი შეუძლია განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს მისი დროებით ან მუდმივად რეპროდუცირება, მთლიანად ან ნაწილობრივ თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზაცია, ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური თუ პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით. ამასთან ერთად, კანონი ითვალისწინებს იმ მეორე ტიპის მონაცემთა ბაზის დაცვას, რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს, მაგრამ მაინც დაცული უნდა იყოს უფლებები მისი დამამზადებლისა, რომელმაც ჩადო მნიშვნელოვანი კაპიტალი მასალების მოპოვებაში, შემოწმებაში, გადამუშავებასა და სისტემატიზაციაში.

რას ნიშნავს „მიდევნების უფლება"? – კანონში ცალკეა გამოყოფილი სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ავტორის ე.წ „მიდევნების უფლება", რაც გულისხმობს ავტორის უფლებას მიიღოს გარკვეული ჰონორარი ნაწარმოების ორიგინალის პირველი გასხვისების შემდეგ მისი ყოველი მომდევნო გაყიდვის შემთხვევაში. ჰონორარის ოდენობა დამოკიდებულია გასაყიდ ფასზე (მაგალითად: 100 000 ლარამდე ჰონორარი შეადგენს 4%-ს; 100 000 ლარიდან 400 000 ლარამდე, 4000 ლარს (ანუ 100 000 ლარის 4%-ს) + 100 000 ლარს ზემოთ – თანხის 3%-ს და ა.შ.).

არსებობს თუ არა საავტორო უფლებების რაიმე შეზღუდვა ან გამონაკლისი? – კანონით დადგენილია შეზღუდვები და გამონაკლისები ავტორის ქონებრივი უფლებებიდან. კერძოდ: დაშვებულია ნაწარმოების რეპროდუცირება მხოლოდ პირადი სარგებლობის მიზნით, ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა: არქიტექტურული ნაწარმოების ნაგებობის ფორმით რეპროდუცირებისა; წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფირებისა; აუდიოვიზუალური ნაწარმოების, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჰონორარს იხდიან რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობების (აუდიო და ვიდეო აპარატურა და სხვ.) და მატერიალურ მატარებელთა (ფირი, კასეტა, კომპაქტფირფიტა და სხვ.) მწარმოებლები და იმპორტიორები. ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე დაშვებულია: ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ ერთეულ ასლად განადგურებული, დაკარგული ან სარგებლობისთვის გამოუსადეგარი ეგზემპლარის რეპროდუცირება მოგების მიუღებლად; ფიზიკურ პირთა მოთხოვნით ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე ნაწარმოებების მოკლე ნაწყვეტების რეპროგრაფია სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით; ნაწარმოების ციტირება ან ილუსტრაციის სახით გამოცემებში გამოყენება სამეცნიერო, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის; მიმდინარე საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში უკვე გამოცემული სტატიების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, თუ ეს პირდაპირ არ არის აკრძალული; მიმდინარე მოვლენების პროცეში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა საინფორმაციო მიზნით; საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, ლექციის, მიმართვის, ქადაგების, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვის რეპროდუცირება ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მიერ ან საინფორმაციო მიზნით საჯარო გადაცემა; თავისუფალი დასწრების ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული არქიტექტურული, ფოტოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაწარმოების გამოსახულება ძირითად ობიექტს წარმოადგენს ან გამოიყენება მოგების მისაღებად; მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს; სასამართლო წარმოებისთვის; ეთერში გადაცემული იმ ნაწარმოების ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისთვის, რომელზედაც მიღებულია გადაცემის უფლება, თუ ჩანაწერი დამზადდება საკუთარი გადაცემისთვის და ჩანაწერი, გარდა დოკუმენტური კადრებისა, განადგურდება ჩაწერიდან 6 თვეში.

როგორია საავტორო უფლებების მოქმედების ვადა? – საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი მისი გარდაცვალებიდან; თუ ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა მოხდა ფსევდონიმით ან ანონიმურად, საავტორო უფლებები მოქმედებს ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის დღიდან 70 წლის განმავლობაში; თანაავტორების ან აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში, საავტორო უფლებები მოქმედებს უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში; ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ. საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ნაწარმოები შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა ჰონორარის გადახდის გარეშე.

როგორ შეიძლება განკარგოს ავტორმა თავისი უფლებები? – ავტორს ან სხვა უფლებამფლობელს შეუძლია ქონებრივი უფლებების გაყიდვა ან სხვა ფორმით გასხვისება მთლიანად ან ნაწილობრივ. მასვე შეუძლია აგრეთვე დაუთმოს ნებისმიერ პირს ნაწარმოების გამოყენების უფლება, ანუ გასცეს განსაკუთრებული და ჩვეულებრივი ლიცენზია. ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს ავტორი ანიჭებს ლიცენზიატს ნაწარმოების გამოყენების უფლებას სალიცენზიო ხელშეკრულებით განსაზღვრული სახით და ვადით. ამავე დროს, ავტორი ინარჩუნებს უფლებას გასცეს ასეთივე ლიცენზიები სხვა პირებზეც. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში მხოლოდ ლიცენზიატი იღებს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახით და ვადით. ხოლო ავტორს აღარ შეუძლია გასცეს ახალი ლიცენზია სხვა პირებზე. ამასთან, ლიცენზიატი უფლებამოსილი ხდება, ნება დართოს ან აუკრძალოს ნებისმიერ პირს (მათ შორის თავად ავტორსაც) ნაწარმოების გამოყენება.

როგორ ხდება ავტორებისათვის ჰონორარის შეგროვება? – ავტორებს შეუძლიათ თავისი უფლებები განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად (თვითონვე დადონ სალიცენზიო ხელშეკრულებები მოსარგებლეებთან, მოითხოვონ და შეაგროვონ ჰონორარები და თვითონვე აკონტროლონ მათი ნაწარმოებების გამოყენება), ისე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციის მეშვეობით.

რა არის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაცია? – საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს უფლება აქვთ, შექმნან ნებაყოფლობითი კავშირი – ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაცია, რომელმაც უნდა გაიაროს სპეციალური რეგისტრაცია. კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მთავარი ფუნქციაა, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენებისათვის ავტორთა სახელით გასცეს ლიცენზიები მოსარგებლეებზე, დააწესოს ტარიფები, შეაგროვოს შესაბამისი ჰონორარი და გაანაწილოს არა მარტო მის წევრ, არამედ უცხოელ ავტორებზეც. ორგანიზაციას გაფორმებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებები ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან, რის საფუძველზეც უცხოური ორგანიზაციები აგროვებენ ჰონორარს მათ ტერიტორიაზე ქართველ ავტორთა ნაწარმოებების გამოყენების შემთხვევაში და ურიცხავენ მას საქართველოს კოლექტიური მართვის ორგანიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, ანაწილებს ქართველ ავტორებს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსარგებლეების, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სასამართლოს წინაშე წარმოადგინოს ავტორთა და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების ინტერესები.

რა დაიცვება მომიჯნავე უფლებებით? – მომიჯნავე უფლებების დაცვის ობიექტებია შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა და საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციების გადაცემები.

ვინ შეიძლება იყოს მომიჯნავე უფლებების მფლობელი? – მომიჯნავე უფლებების მფლობელებია შემსრულებლები, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის (საეთერო და საკაბელო) ორგანიზაციები.

რა არეგულირებს საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში? – საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" (1999 წელი). გარდა ამისა, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ" ბერნის კონვენცია (საქართველო წევრია 1995 წლის 16 მაისიდან), „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ" რომის კონვენცია (საქართველო წევრია 2004 წლის 14 აგვისტოდან), ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები „საავტორო უფლებების შესახებ" და „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ" (საქართველო წევრია 2002 წლის 20 მაისიდან), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის „ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების ასპექტების შესახებ" შეთანხმება (საქართველო წევრია 2000 წლის 14 ივნისიდან). რაც შეეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ისინი რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლები: 1571, 1572, 1573 და 239); სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 189); „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც განსაზღვრულია სპეციალური მექანიზმები კონტრაფაქციული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის აღკვეთის მიზნით.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საბერძნეთი და ესპანეთი — ვინ დააკლდება ევროპას

ევროპის ჩემპიონატის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ერთი რამ დარჩა გასარკვევი: რომელი გუნდი იქნება მეოთხედფინალის ბოლო მონაწილე — ესპანეთი თუ საბერძნეთი? არადა, ეს ორი გუნდი ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად მოიაზრებოდნენ, ამ დროს კი, აქედან ერთი მედლებისთვის ბრძოლას ნაადრევად გამოეთიშება. 7 გუნდი უკვე ცნობილია და ესენი არიან: სლოვენია, ხორვატია, იტალია, სერბეთი, ლიტვა, იტალია და უკრაინა.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებმა უკვე მეორე მატჩი წააგეს მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ისინი მეოთხე ადგილზე დაბლა მაინც არ ჩამოსცდებიან. ეს იმიტომ, რომ ამჟამად მე-5 და მე-6 ადგილებზე მყოფი საბერძნეთი და ფინეთი იტალიას პირველ ჯგუფურ ეტაპზე დამარცხებული ჰყავს და ბოლო ტურში, რაც არ უნდა მოხდეს, მათ წინ მაინც იქნებიან.

ბოლო ტურში კი იტალია ესპანეთს ხვდება და თუკი ესპანეთმა ვერ მოიგო, შესაძლოა, მეოთხედფინალს მიღმა დარჩეს. რაც შეეხებათ ხორვატიას და სლოვენიას, ამ გუნდებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და მეოთხედფინალის საგზურები გაინაღდეს.

ხორვატიამ იტალიას მოუგო. ხორვატები აგებდნენ, თუმცა მძლავრი მესამე მეოთხედით თამაში გარდატეხეს და საბოლოოდ 76:68 იმარჯვეს. სლოვენიამ კი საბერძნეთს აჯობა. მასპინძლები მატჩის განმავლობაში დიდი სხვაობით ანადგურებდნენ ბერძნებს. ერთი ხანობა სხვაობამ 30 ქულას მიაღწია, თუმცა ელადელებმა ბოლო წუთებზე მაინც მოახერხეს შანსის მოპოვება, რომლის გამოყენებაც ვერ მოახერხეს. სლოვენიამ გორან დრაგიჩის დიდებული თამაშის წყალობით საბოლოოდ 73:65 იმარჯვა და ჯგუფში პირველ ადგილზე გამაგრდა.

**ხორვატია – იტალია 76:68**

ხორვატია: ბოგდანოვიჩი (18ქ), სიმონი (14ქ), უკიჩი (13ქ), დრაპერი (12ქ)

იტალია: დატომე (24ქ,7მ), არადორი (12ქ)

ესპანეთი – ფინეთი 82:56

ესპანეთი: კალდერონი (23ქ,5პ), კლავერი (12ქ,7მ)

ფინეთი: კოპონენი (17ქ), ლი (12ქ)

საბერძნეთი – სლოვენია 65:73

საბერძნეთი: სპანულისი (21ქ,8მ), ზისისი (13ქ

სლოვენია: გ.დრაგიჩი (28ქ), ზ.დრაგიჩი (11ქ), ლაკოვიჩი (10ქ)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სლოვენია | 4 | 3 | 1309:287 | 7 |
| 2.ხორვატია | 4 | 3 | 1280:273 | 7 |
| 3.ესპანეთი | 4 | 2 | 2294:253 | 6 |
| 4.იტალია | 4 | 2 | 2288:276 | 6 |
| 5.საბერძნეთი | 4 | 1 | 3293:315 | 5 |
| 6.ფინეთი | 4 | 1 | 3249:309 | 5 |

უკრაინამ მეოთხედფინალის საგზური ვადამდე მოიპოვა, თუმცა ეს პირადი მოგების ხარჯზე არ მოუხერხებია. უკრაინის ბედი ლატვიის ხელში იყო, რომელიც ბელგიას ხვდებოდა და მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გადიოდა, წაგებით კი პლეი ოფის საგზური უკრაინას ხვდებოდა. ასეც მოხდა: ლატვიელებმა უიმედოდ მყოფ ბელგიას საციცოცხლო მნიშვნელობის მატჩი ვერ მოუგეს და ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობნენ.

სხვა მატჩებს პლეი ოფში გასვლის კუთხით დატვირთვა არ ჰქონია. ლატვიის წაგების შემდეგ უკრაინა პლეი ოფში გასული იყო და ლიტვასთან მაინც ბოლომდე იბრძოლა, თუმცა მოგებამდე ვერ მივიდა – 63:70 წააგო. პირველი ადგილის განმსაზღვრელ მატჩში სერბეთმა საფრანგეთს 77:65 მოუგო. ფრანგებმა ევრობასკეტზე უკვე მე-3 მატჩი წააგეს, თუმცა პლეი ოფამდე მაინც მივიდნენ და მათთვის მთავარი ბრძოლა ახლა იწყება.

**ლატვია – ბელგია 56:60**

**ლატვია:** ფრეიმანისი (10ქ,11მ)

**ბელგია:** მასოტი (14ქ), მუკუბუ (13ქ), ჰერველე (10ქ,7მ)

**უკრაინა – ლიტვა 63:70**

**უკრაინა:** გლადირი (18ქ), ჯეტერი (10ქ,8პ), კორნიენკო (9ქ,8მ)

**ლიტვა:** კლეიზა (15ქ), მოტიეიუნასი (10ქ)

**სერბეთი – საფრანგეთი 77:65**

**სერბეთი:** კრსტიჩი (19ქ), ნედოვიჩი (17ქ), ბოგდანოვიჩი (14ქ)

**საფრანგეთი:** ბატუმი (12ქ,7მ), დიაო (12ქ), აჯინკა (12ქ), დე კოლო (12ქ), პარკერი (10ქ,5პ)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 5 | 4 | 1371:343 | 7 |
| 2.ლიტვა | 5 | 4 | 1355:314 | 7 |
| 3.საფრანგეთი | 5 | 3 | 2388:380 | 7 |
| 4.უკრაინა | 5 | 2 | 3325:364 | 6 |
| 5.ბელგია | 5 | 1 | 4318:358 | 5 |
| 6.ლატვია | 5 | 1 | 4362:360 | 4 |

# საქართველოს ნაკრების წევრი პოლიციამ დააკავა

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კანდიდატი, ჭაბუკებს შორის ევროპის 2-გზის ჩემპიონი ფირუზ წულუკიძე ბათუმში პოლიციამ დააკავა და, სავარაუდოდ, დიდი ხნით მოუწევს გისოსებს მიღმა ყოფნა.

როგორც ირკვევა, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1993 წელს დაბადებული ფირუზ წულუკიძე, ქ. ბათუმში მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს მალავდა, რომელიც საქართველოს საზღვრის გვერდის ავლით, უკანონოდ უნდა გადაეყვანა თურქეთის რესპუბლიკაში. მათ აღნიშნულ საქმიანობაში დახმარებას ასევე ბათუმში დროებით მცხოვრები, 1969 წელს დაბადებული თემურ ბახუნტარაძე უწევდა, რომელიც წულუკიძის პირადი მწვრთნელია.

აღნიშნული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოსა და აჭარის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიიღეს.

ბათუმში, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა შეაჩერა იმ დროისთვის დაუდგენელი პირი, რომელსაც ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოსთხოვეს, აღნიშნულმა პირმა ხელჩანთიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და პოლიციელების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. თავდამსხმელმა მიმალვა სცადა, რა დროსაც რამდენიმე უმისამართო გასროლა მოახდინა. რის შედეგადაც დაიჭრნენ ერთი პოლიციელი და შემთხვევითი გამვლელი. პოლიციამ გახსნა საპასუხო ცეცხლი თავდამსხმელის მისამართით, თავდამსხმელი დაიჭრა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელიც და მისი თანხმლები პირები – ფირუზ წულუკიძე და თემურ ბახუნტარაძე ადგილზევე დააკავეს.

სამივე დაჭრილი გადაიყვანეს ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწიათ. მათ სიცოცხლეს ამ დროისათვის საფრთხე არ ემუქრება.

ამოღებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციიდან დადგინდა, რომ თავდამსხმელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, საქართველოში არალეგალურად მყოფი, 1988 წელს დაბადებული იუსუფ ლაკაევია. ხოლო ლაკაევის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მისი კუთვნილი ფულადი თანხა და 19 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. საბრძოლო იარაღი ამოღებულია წულუკიძისა და ბახუნტარიძის დროებითი საცხოვრებელი ბინებიდანაც.

გეტყვით იმასაც, რომ ერთი თვის წინ წულუკიძემ განაცხადა, რომ მისი რელიგიის, მუსლიმანობისა და ვაჰაბისტებთან მეგობრობის გამო სახელმწიფოს მხრიდან პრობლემები ექმნებოდა.

მომხდართან დაკავშირებით, საგანგებო წერილი გაავრცელა ბუდაპეშტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მყოფმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ.

– წლების განმავლობაში, წინა ხელისუფლების დროს, შეგნებულად წახალისებულმა პროცესებმა, ხელი შეუწყვეს საქართველოში იმ მიმდევრობას, რომელიც არც მუსლიმანურ, არც ქრისტიანულ და არც ერთ რელიგიას არ აძლევს სიმშვიდეს. პირიქით, ხელს უწყობს აგრესიისა და შუღლის გაღვივებას სხვადასხვა ერებსა და რელიგიებს შორის. ამასთანავე, მეზობელ ქვეყნებთან დაძაბულ ურთიერთობას, რამაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოგვცა ხელოვნურად შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა.

დღევანდელ რეალობაში, რომელიც გასული წლის 1 ოქტომბერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მთელმა ქვეყანამ მოიპოვა, გვიწევს ყველა მიმართულებით, ყველა სფეროში ურთიერთობების დალაგება – როგორც სხვადასხვა ქვეყნებთან, ასევე ქვეყნის შიგნით.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, მთელი გულით განვიცდი იმას, რომ ახალგაზრდა, რომელსაც შესწევდა უნარი თავისი ქვეყნის სამსახურში და გამარჯვებებით გახარჯულიყო, მორიგი მსხვერპლია წინა ხელისუფლების იდეოლოგიის.

მაშინ, როდესაც აქ, ბუდაპეშტში, მსოფლიო ჩემპიონატის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების გვერდით ვდგავარ და მათ ვგულშემატკივრობ, გაცილებით მეტად განვიცდი ფირუზ წულუკიძის მდგომარეობას და იმ ფაქტს, რომ ვერ შევძელით მისთვის აგვერიდებინა იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც მას მცდარი იდეოლოგიით მოძღვრავდნენ. პირადად მქონდა ფირუზ წულუკიძესთან საუბარი და მცდელობა, დამერწმუნებინა, რომ ის ძვირფასია და ღირებული ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და ქვეყნისთვის იმ საქმით, რითაც მან მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა.

შორს ვარ იმ დამოკიდებულებიდან, რომ ადამიანი წაიქცა და მას ყველამ ზურგი აქციოს. ფირუზ წულუკიძე ერთადერთი ადამიანი და ერთადერთი მსხვერპლი არ არის წინა ხელისუფლების იდეოლოგიის. ჩვენ, პირადად მე, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს მწარე ფაქტი იყოს მაგალითი, რომელიც არ უნდა განმეორდეს და თუკი ხელისუფლების მხრიდან მოხდება რაიმე სახის წახალისება, ეს უნდა იყოს ახალგაზრდების, მომავალი თაობის წახალისება ქვეყნის ერთიანობისთვის და გამარჯვებებისთვის.

# ორი ტური სამი ლიდერით

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რაგბიში უკვე ორი ტური მიილია და ცხრილის სათავეში 3 გუნდი მოექცა. აქედან, ყველაზე მოულოდნელი „არმაზის" გამოჩენაა.

**ლოკომოტივი – არმაზი 7:21**

„არმაზს" ამბიციური მეტოქე ჰყავდა – მედლებისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი". თუმცა, ისიც გამოჩნდა, თუ რა ამბიციები აქვს თავად და ეს პირველივე ტაიმში სამი გატანილი ლელოთი გამოხატა. თავი ბროძელმა, მინაშვილმა და გიგაურმა გამოიჩინეს, რასაც კიკნაძემ ზუსტი გარდასახვები დაურთო და არმაზელები 21:0 დაწინაურდნენ.

„ლოკომოტივი" არ გატყდა, მაგრამ მეორე ტაიმში მხოლოდ ერთ ლელოს გამორჩა, რითიც „არმაზს" პრემიალური ქულა დააკარგვინეს. რკინიგზელებს 7 ქულა თავბერიძემ და წიკლაურმა მოუტანეს.

**ბათუმი – აია 9:18**

„არმაზის" პრემიალური ქულის გარეშე მოგებით ვერ ისარგებლა ქუთაისის „აიამ". ბათუმელებთან სტუმრობისას რიონისპირელები რატიშვილის ლელოთი და ჯინჭველაშვილის გარდასახვით დაწინაურდა, მაგრამ ოდიშარიასგან ორი ჯარიმა მიიღო და შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდა.

მეორე ტაიმში, ლელო ლოსაბერიძემაც მიითვალა, ხოლო ჯინჭველაშვილმა და სინაურიძემ თითო-თითო ჯარიმაც დაურთეს, მაგრამ ერთი ჯარიმა ოდიშარიამაც გაიტანა და სტუმრებმა 18:9 იმარჯვეს.

ხარები – არმია 11:38

„არმაზისა" და „აიას" წაფორხილებით ისარგებლა „არმიამ", რომელმაც რუსთავში „ხარები" გაანადგურა, პრემიერლური ქულა ჩაიწერა და პირველ ტურში დაშვებული იაღლიში გამოასწორა.

„არმიამ" 5 ლელო (გაბროშვილი 2, ნუცუბიძე, შკინინი, აფციაური) გაიტანა და 5-ვე გარდასახა (კობახიძე), რასაც სართად ერთი არეკნიც (ბაირამაშვილი) დაურთო.

რუსთაველთაგან ლელო მელიქიშვილის ანგარიშზეა, ხოლო ორი ჯარიმა კიკნაძეს ზუსტად დაარტყა.

აკადემია – ლელო 6:42

ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ლელომ" პირველ ტურში მოულოდნელი მარცხი განიცადა და აკადემიელებთან სხვა შემართებით ითამაშა.

სტუმრებმა 5 ლელო (გუგავა, ლომთაძე, ნიკოლაიშვილი, კაჭარავა, კოლელიშვილი), 4 გარდასახვა (ყიასაშვილი) და 3 ჯარიმა (ჯოგლიძე 3, ყიასაშვილი) მიითვალეს, ხოლო აკადემიელთაგან ორი ჯარიმა დავითაშვილის ანგარიშზეა.

**ჯიქები – ყოჩები 22:22**

ყველაზე დაძაბული მატჩი ტურში ფრედ დასრულდა. არადა, პირველ ტურში „ყოჩებმა" „ლელო" დაამარცხა და გამარჯვებას ახლაც ბოლნისელებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოგება ბოლოს გაუშვეს ხელიდან.

გაუშვეს ცოტა რთული სათქმელია, რადგან „ჯიქები" მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ, იყო მომენტი, როდესაც 19:12 იგებდნენ, მაგრამ „ყოჩებმა" იძალეს და 22:19 თავად დაწინაურდნენ. სწორედ აქ დაუშვეს შეცდომა დაცვაში, დაჯარიმდნენ და 4-ის ნაცვლად 2 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 2 | 2 | 0 | 0 | 59:20 | 9 |
| 2.არმაზი | 2 | 2 | 0 | 0 | 60:24 | 9 |
| 3.აია | 2 | 2 | 0 | 0 | 35:21 | 9 |
| 4.ყოჩები | 2 | 1 | 1 | 0 | 54:35 | 6 |
| 5.ლელო | 2 | 1 | 0 | 1 | 55:38 | 5 |
| 6.ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 26:38 | 4 |
| 7.ჯიქები | 2 | 0 | 1 | 1 | 39:41 | 3 |
| 8.ხარები | 2 | 0 | 0 | 2 | 23:55 | 1 |
| 9.ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 26:57 | 0 |
| 10.აკადემია | 2 | 0 | 0 | 2 | 15:63 | 0 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი .............. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 2.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| 3.ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| 4.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| 5.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| 6.სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 7.ნიუკასლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | 7 |
| 8.ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| 9.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 5 |
| 10.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| 11.კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 12.მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| 13.ნორვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 14.ფულემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 15.ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 16.ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| 17.კრისტალ პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| 18.სუონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| 20.სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

რედინგი-ბრაიტონი 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ესპანიოლი ...................... 0:1
ხეტაფე-ოსასუნა ............................ 2:1
მალაგა-რაიო ................................. 5:0
ბეტისი-ვალენსია ........................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| 2.ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| 4.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 5.ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 6.ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 7.სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 8.სოსიედადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| 9.ლევანტე | 4 | 1 | 2 | 1 | 2:8 | 5 |
| 10.მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:4 | 4 |
| 11.ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 12.გრანადა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 13.ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 14.ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 15.ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| 16.რაიო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | 3 |
| 17.ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 8:11 | 2 |
| 18.სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| 19.ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 20.ოსასუნა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბარსელონა ბ-რეალი ბ ................... 2:0
ხიხონი-დეპორტივო ........................ 2:0
ლას პალმასი-ხაენი ........................ 1:0
მურსია-ალავესი .............................. 2:1
ერკულესი-მალიორკა ...................... 2:2
ალკორკონი-პონფერადინა ............. 0:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-კალიარი .................... 1:1
ვერონა-სასუოლო ........................... 2:0
ლაციო-კიევო ................................. 3:0
ლივორნო-კატანია .......................... 2:0
უდინეზე-ბოლონია .......................... 1:1
სამპდორია-ჯენოა ........................... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2.ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| 3.ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 4.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 5.რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 6.ლივორნო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 7.ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 8.ვერონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| 9.მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| 10.უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 11.ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 12.კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| 13.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 14.ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| 15.ბოლონია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 16.სამპდორია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 17.კიევო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| 18.პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 19.კატანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| 20.სასუოლო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-გლადბახი .................. 2:1
ბრაუნშვაიგი-ნიურნბერგი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:4 | 15 |
| 2.ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 3.ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 12 |
| 4.ჰანოვერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| 5.მაინცი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| 6.აუგსბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:7 | 9 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:13 | 8 |
| 8.ჰერტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| 9.შალკე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| 10.შტუტგარტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:8 | 6 |
| 11.გლადბახი | 5 | 2 | 0 | 3 | 11:10 | 6 |
| 12.ვოლფსბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| 13.აინტრახტი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| 14.ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:8 | 6 |
| 15.ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 10:15 | 4 |
| 16.ნიურნბერგი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| 17.ფრაიბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:11 | 2 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ბოხუმი ............................ 0:2
ინგოლშტადი-უნიონი .................... 0:1
ფორტუნა-დინამო ......................... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ლორიანი ........................... 1:0
ლილი-ნიცა ................................... 0:2
ლიონი-რენი .................................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 2.სტ.ეტიენი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 12 |
| 3.პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| 4.მარსელი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| 5.რენი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| 6.რეიმსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| 7.ნიცა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| 8.ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 7 |
| 9.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| 10.ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| 11.ევიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| 12.ლილი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| 13.მონპელიე | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| 14.ლორიანი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| 15.გენგამი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| 16.ბორდო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 17.აიაჩო | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| 18.ვალანსიენი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| 19.ტულუზა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | 3 |
| 20.სოშო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

ნაიმეგენი-ფეინოორდი ................... 3:3
ალკმაარი-იგლზი ............................ 3:0
როდა-ბრედა .................................. 1:5
ჰერენვენი-გრონინგენი .................. 4:2
უტრეხტი-ვალვაიკი ........................ 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ბელენენსეში ................. 2:1
სეტუბალი-მარიტიმუ ...................... 2:4
ნასიონალი-არუიკა ......................... 0:1
ოლჰანენსე-სპორტინგი .................. 0:2
ბრაგა-ეშტორილი ........................... 3:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-რუბინი ............................... 0:0
ლოკომოტივი-ყუბანი ..................... 1:0
ტომი-ანჟი ...................................... 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-დ.იუნაიტედი ........................ 2:4

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ზალცბურგი .......................... 0:5

**ბელგია. პროლიგა**

ოსტენდე-სტანდარდი ..................... 2:4
გენკი-ვარეგემი ............................. 5:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქაისერი ......................... 1:1
სივასი-ესკიშეჰირი ......................... 3:2
ბურსა-ბეშიქთაში ........................... 0:3
ელაზიგი-ქონია .............................. 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-ლევადიაკოსი ....................... 1:1
აპოლონი-კალონისი ....................... 1:3
ოფი-ასტერასი ................................ 1:1
პანიონიოსი-პანთრათიკოსი .......... 1:1
პლატანიასი-პანათინაიკოსი .......... 1:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ტეპლიცე-იაბლონეცი ..................... 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-რუხი ............................. 6:0
პოგონი-ლეჩნა ................................ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(დ)-ჰოვერლა .............. 4:2
დნიპრო-ტავრია .............................. 1:0
მეტალისტი-დინამო ....................... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ვიბორგი ........................... 0:1
ვესტშელანი-რანდერსი ................. 2:0
ბრონდბიუ-ოდენსე ......................... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-კალმარი ................................ 0:0
ჰალმშტადი-გიოტებორგი .............. 0:1
ელფსბორგი-ნორჩიოპინგი ............ 4:1
ჰეკენი-ჰელსინბორგი ..................... 3:2
სირიანსკა-მიალბი ......................... 1:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტრომგოდსეტი-ოდ გრელანდი .... 3:1
ვალერენგა-ბრანი .......................... 4:3
ულფი-სარპსბორგი ......................... 2:0
ჰონეფოსი-სტარტი ......................... 0:1
ტრომსო-რუსენბორგი .................... 1:0

**ბრაზილია. სერია ა**

ვასკუ-სან პაულუ ........................... 0:2
კორინთიანსი-გოიასი .................... 1:2
კურიტიბა-ბაია .............................. 2:2
კრისიუმა-ინტერნასიონალი .......... 0:1
პონტე პრეტა-ფლამენგო ............... 1:1
სანტოსი-ბოტაფოგო ..................... 1:2
გრემიო-ატლეტიკო(მ) .................. 0:1
ვიტორია-ნაუტიკუ ......................... 2:1

**არგენტინა.**

**პრიმერა დივიზიონი**

რაფაელა-ესტუდიანტესი ............... 1:0
ტიგრე-როსარიო ............................ 2:0
ბოკა-რასინგი ................................ 2:0
სარანდი-რივერ პლეიტი ............... 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სირია მიიჩნევს, რომ ლავროვმა და კერიმ რეგიონში ომი აღკვეთეს

დამასკო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის მიერ სირიის ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას მიესალმება. მინისტრ ალი ჰეიდარის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება სირიას კრიზისის დაძლევაში დაეხმარება.



„ეს შეთანხმება რუსული დიპლომატიის და რუსეთის ხელისუფლების დამსახურებაა, რისთვისაც ჩვენ რუს მეგობრებს მადლობას ვუხდით“, – აღნიშნა მინისტრმა.

მისივე თქმით, ლავროვისა და კერის გადაწყვეტილება უზრუნველყოფს საერთაშორისო მხარდაჭერას, რათა სირიელი ხალხის ყველა წარმომადგენელმა ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები მოლაპარაკებების გზით გადაწყვიტოს. აშშ-სა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყებები სირიის საკითხის პოლიტიკური გზით გადაწყვეტაზე შეთანხმდნენ. შეთანხმების თანახმად, ქიმიური იარაღი 2014 წელს უნდა განადგურდეს ან ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა იქნეს გატანილი. კერის და ლავროვის შეთანხმების საფუძველზე შემუშავებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალის გამოყენებას გულისხმობს.

პრეზიდენტი ობამა აცხადებს, რომ სირიის ქიმიური იარაღის გადაბარების გეგმა „მსოფლიოს უკეთეს პოზიციაში აყენებს“ ქიმიური იარაღის ხელახალი გამოყენების თავიდან აცილების კუთხით. „ეი-ბი-სის“ ტელეარხით გადაცემული ინტერვიუს დროს ობამამ აღნიშნა, რომ მდგომარეობა სირიაში „არამდგრადია“ ვიდრე ხელისუფლებას ბაშარ ალ-ასადი ინარჩუნებს. ბარაკ ობამამ ასევე აღნიშნა, რომ მიესალმება სირიის კრიზისის დასარეგულირებლად რუსეთის პრეზიდენტის ჩართულობას დიპლომატიურ ძალისხმევაში.

„ეი-ბი-სის“ ტელეარხზე პრეზიდენტმა ჟურნალისტ ჯორჯ სტეპანოპულოსის კითხვებს უპასუხა. მან თქვა, რომ აშშ-მ და რუსეთმა ერთობლივად უნდა გააგრძელონ მუშაობა სირიის საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი პუტინი სიტუაციას სხვაგვარად აღიქვამს.

„მე არ ვფიქრობ, რომ პუტინს ჩვენნაირი ღირებულებები აქვს და მგონია, რომ ასადის დაცვით, მას სირიის რეჟიმის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვს“,- თქვა ობამამ. ობამამ დასძინა, რომ ასადის ხელისუფლებაში დარჩენამდე სირიაში კონფლიქტი შენარჩუნდება. ამერიკელმა ლიდერმა თქვა, რომ ამერიკული სამხედრო თავდასხმის მუქარამ რუსი და სირიელი ოფიციალურ პირები აიძულა შეთანხმება მიეღოთ.

რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკეინი ამ გარიგებას „პროვოკაციული სისუსტის აქტად“ მოიხსენიებს. სხვა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს კი სურთ ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც ამერიკულ სამხედრო თავდასხმას აიცილებს თავიდან. ორშაბათს, პარიზში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა სრულიად დაკარგა ლეგიტიმურობა“.

მას შემდეგ, რაც რუსეთის პირველი დიპლომატი სერგეი ლავროვი და კერი სირიის ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით გეგმაზე შეთანხმდნენ, საერთაშორისო საზოგადოება ახლა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუციის მიღებას ელოდება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკა რაც შეიძლება „ძლიერი“ რეზოლუციის მიღებას გეგმავენ სირიის ქიმიური იარაღის მოცილების შესახებ.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პრესმდივნის დმიტრი პესკოვის განცხადებით, ჟენევის მოლაპარაკებების შემდეგ ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთმანეთს არ დაკავშირებიან.

„არა, კონტაქტი არ შემდგარა“,-განცუხადა პესკოვმა „რია ნოვოსტის“.

ამ ფონზე, ექსპერტები ჟენევის შეთანხმებას აფასებენ. „ამერიკის ხმის“ რუსულმა რედაქციამ რამდენიმე ამერიკელი ექსპერტი დაკითხა და მათ სირიის საკითხში ჟენევაში რუსეთსა და აშშ-ს შორის მიღწეული შეთანხმების შესახებ ჰკითხა. ინტერვიუებს ვადიმ მასალსკი უძღვებოდა. ვაშინგტონში მდებარე ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი და ევრაზიული კვლევების პროგრამის თანა-დირექტორი კორი ველტი ამბობს, რომ სირიის საკითხებზე მიმდინარე დიალოგში მომდევნო ნაბიჯი ყველაზე რთული და სახიფათო იქნება. პოლიტოლოგი ამბობს, რომ ობამა ჯერ კიდევ ეჭვით აღიქვამს კრემლის ინიციატივას, იმდენად რამდენადაც რამდენიმე საკითხი მართლაც გაუგებარია: რა რაოდენობის ქიმიური იარაღი არსებობს სირიაში, სად ინახავენ ამ იარაღს, სად მოხდება მისი დისლოკაცია და რამდენად აკონტროლებს ქიმიური იარაღის მარაგებს ასადი?

„მეორეს მხრივ, ობამას ახარებს კიდეც ის გარემოება, რომ მან ამ თემაზე კენჭისყრის გადადებას მიაღწია კონგრესში, რაც შეიძლება მის წინააღმდეგ შემობრუნებულიყო. ახლა ის, ამის გამო პუტინს უმადლის კიდეც“,-ამბობს ველტი.

მიუხედავად ამისა, ამერიკელთა უმეტესობა, აგრძელებს ექსპერტი, სირიაში ამერიკის შეზღუდული სამხედრო ქმედების წინააღმდეგ გამოდის, რაც პრეზიდენტმა უნდა გაითვალისწინოს. თუმცა ველტი ვარაუდობს, რომ ამ ეტაპზე თეთრი სახლისთვის შესაძლოა სხვა პრობლემაც იდგეს.

„გავიხსენოთ ირანი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობასთან მოლაპარაკებებს აჭიანურებს ბირთვული პროგრამის შესახებ. შეეცდება თუ არა ასადი გააკეთოს იგივე, და ამ ეტაპზე რას მოიმოქმედებს რუსეთი?“-კითხულობს პროფესორი. კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგი საერთაშორისო საკითხებში კიმბერლი მარტენი თვლის, რომ რუსეთის პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვას სირიაში ჯგუფური და პირადი ფინანსური ინტერესები აქვს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ დაკავშირებული სირია-რუსეთის სამხედრო კონტრაქტებთან.

ამ ადამიანებს შორის, მარტენის თქმით, არიან ვიქტორი ივანოვი, სერგეი ჩემეზოვი, ვლადისლავ მენშიკოვი. მარტენი ამბობს, რომ არის იმის მტკიცებულებები, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვი კვლავინდებურად ეხმარებოდა დამასკოს-ქიმიური იარაღის პროგრამის განვითარების კუთხით.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი და ონლაინ-ჟურნალის-„რაშა ანალითიქალ დაიჯესტის“ თანადირექტორი რობერტ ორტუნგი განსაკუთრებული ოპტიმიზმის გარეშე აღიქვამს ჟენევის ხელშეკრულებას. თუმცა ამბობს სულ ცოტა სამი მნიშვნელოვანი მიმართულების შესახებ, რომელთა საშუალებით მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დიალოგი შესაძლებელია.

პირველ რიგში ეს არის სარაკეტო-ბირთვული პოტენციის შეკვეცა. მეორე-ავღანეთში, რომლის სტაბილურობა მოსკოვს, ვაშინგტონზე ნაკლებას არ უნდა აინტერესებდეს, მხარეებს საერთო ინტერესი აქვთ ნარკოტრეფიკინგსა და ისლამურ ექსტრემიზმს ებრძოლონ. მესამე კი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მცდელობაა ევროკავშირს მიუერთდნენ.

– ბაშარ ასადის რეჟიმთან მებრძოლთა რაოდენობა სირიაში დაახლოებით 100 ათას ადამიანს შეადგენს და დაახლოებით მათი ნახევარი რადიკალური ისლამის მიმდევარია. ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა „ტელეგრაფი“ ერთ-ერთი კვლევითი ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს. წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ამბოხებულთა დაახლოებით 10 ათასი წევრი ჯიჰადისტების უკიდურესად რადიკალური დაჯგუფებების წევრები არიან. ამ ორგანიზაციებს კი თავის მხრივ „ალ ქაიდასთან“ აქვთ კავშირის.

ამას გარდა, ასადის წინააღმდეგ მებრძოლი დაახლოებით 30-35 ათასი მეომარი ასევე იზიარებს ისლამისტური ფუნდამენტალიზმის იდეებს, თუმცა უფრო მობილიზებულნი არიან ამ იდეების გავრცელებაზე უშუალოდ სირიის შიგნით, ვიდრე საერთაშორისო არენაზე. კიდევ დაახლოებით 30 ათასი ასადის მოწინააღმდეგე ზომიერებით გამორჩეული ისლამისტური ორგანიზაციების წევრები არიან და ამბოხებულთა მხოლოდ უმცირესი ნაწილი – 25-30 ათასი მებრძოლი არის სამოქალაქო ოპოზიციის წარმომადგენელი.

შეგახსენებთ, რომ სირიაში საბრძოლო მოქმედებები უკვე ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს. გაეროს მონაცემებით უკვე დაღუპულია 100 ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო 2 მილიონზე მეტი ლტოლვილად იქცა.

# ვაშინგტონში საბიუჯეტო განხილვა იწყება



სირიის საკითხის ირგვლივ რამდენიმე კვირიანი მსჯელობის შემდეგ, ვაშინგტონის მთავარი ყურადღება ისევ ფისკალურ თემაზე ინაცვლებს. თუკი საბიუჯეტო პრობლემები დათქმულ ვადებში არ მოგვარდა, შეერთებული შტატების ხელისუფლების საქმიანობას საფრთხე შეექმნება და ამერიკის საკრედიტო დონე შესუსტდება, – აცხადებს „ამერიკის ხმა“.

სავარაუდოდ დღეს, პრეზიდენტი ბარაკ ობამა ძალიან მნიშვნელოვან, საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობას მიმართავს. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან და პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით კონგრესში ორპარტიული კონსულტაციები დაიწყო. პროექტის მთავარი კომპონენტი, რომელიც ობამას დაზღვევის რეფორმის სახელით არის ცნობილი, პირველი ოქტომბრიდან უნდა შევიდეს ძალაში.

პრეზიდენტი ობამა აცხადებს, რომ ამერიკის ფისკალური მდგომარეობა უმჯობესდება.

„თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ ქვეყნის დეფიციტი ორჯერ შემცირდა. შენარჩუნებულია შემცირების სამომავლო ტენდენციაც. თუ გსურთ, რომ დეფიციტი ისევ შემცირდეს, ბიუჯეტში უკვე გავითვალისწინეთ ის მომენტები, რაც ამის განხორციელების საშუალებას მოგვცემს“.

რესპუბლიკელი კანონმდებლები ამ საკითხის მიმართ უკმაყოფილებას ვერ მალავენ. წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ჯონ ბეინერი ამ თემაზე კომენტარს აკეთებს.

„ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს გავაკეთებთ რომ გაუქმდეს, არ დაფინანსდეს ობამას მიერ წარმოდგენილი რეფორმის პაკეტი. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი გეგმიდან, უმუშევრობას პრობლემის გადაწყვეტას ეხება, რაც მასობრივი დეფიციტის მიზეზით წარმოიშვა. სერიოზული მიდგომა სჭირდება დავალიანების საკითხსაც, რომელიც ამერიკის ეკონომიკას ზიანს აყენებს და საფრთხის ქვეშ აგდებს ჩვენი შვილების და შვილიშვილებისამერიკულ ოცნებას“, განაცხადა ბეინერმა.

ამ დროისთვის, წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი წევრები როგორც ჩანს, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიის შესახებ დავობენ. სამომავლოდ დაგეგმილი საშინაო ხარჯების შეკვეცა, როგორც ამას რესპუბლიკელები გეგმავენ, დემოკრატების მხრიდან მხარდაჭერილი არ იქნება, აცხადებს წარმომადგენელთა პალატის უმცირესობის ლიდერი ნენსი პელოსი.

„ეს იდეაა, რომლის განხორციელებისთვისაც იბრძვით. ძალიან გულუბრყვილოა– დეფიციტის შემცირების მიზნით განათლების ხარჯების შემცირება გსურთ. ეს არ მოხდება. განათლების სფეროში ინვესტიციის განხორციელება ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს და ამ გზით ხაზინაში თანხის მობილიზება ხდება“, განაცხადა ნენსი პელოსიმ.

ასევე თეთრი სახლი აცხადებს, რომ ხელმისაწვდომ დაზღვევის პროექტთან დაკავშირებით რომელიც ობამას დაზღვევის რეფორმით არის ცნობილი – პოლიტიკურ ვაჭრობას არ გამართავს.

თეთრი სახლის პრეს-სპიკერმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ „ისინი არცერთ შემოთავაზებას არ დაუჭერენ მხარს, რომელიც ობამას დაზღვევის რეფორმის განხორციელებას შეაფერხებს, ან მის დაუფინანსებლობას გამოიწვევს. ხელისუფლების მიმართ მათი დათხოვნის თაობაზე გამოთქმული მუქარა იდეოლოგიური პოზიციისგან შორს დგას და ამერიკელების უმრავლესობა ამ მოსაზრებას მხარს არ დაუჭერს“.

თუკი სახელმწიფო სესხის გადავადება არ მოხდა, ამერიკის მთავრობას ბიუჯეტის განკარგვის უფლებამოსილების ვადა ამ თვის ბოლოს ეწურება. ხოლო ერთ კვირაში ხელისუფლება სახელმწიფო სესხის დადგენილ ზღვარს მიუახლოვდება.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გაზაფხულზე კონგრესს განსახილველად წარუდგინა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 3 ტრილიონ 800 მილიარდ დოლარს მოიცავს. დეფიციტი 744 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუ ბიუჯეტის ეს პროექტი დამტკიცდა, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის წლებში დეფიციტი პირველად იქნება ტრილიონ დოლარზე ნაკლები.

# ჩეჩნეთში ტერაქტისას სამი პოლიციელი დაიღუპა



ჩეჩნეთის სუნჯის რაიონში, დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად, სამი პოლიციელი დაიღუპა, ოთხმა კი სხეულის სხვადასხვა სირთულის დაზიანება მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს სუნჯის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებიც განყოფილების შენობას იცავდნენ, თვითმკვლელის დანაღმული მანქანის წინ ბარიერის აღმართვა მოასწრეს, რის შედეგადაც აფეთქება შენობის გვერდით მოხდა.

ინგუშეთში კი, ძებნაში არსებული ავტომობილი აფეთქდა. არის მსხვერპლი. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. მას შემდეგ რაც პოლიციელებმა მოძრავი ვაზ-2107 მარკის ავტომობილი დააფიქსირეს, მის დაკავებას შეეცადნენ. ავტომობილში მსხდომნი პოლიციის მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და სამართალდამცავებს ცეცხლი გაუხსნეს. მას შემდეგ რაც პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს სატრანსპორტო საშუალება აფეთქდა.

ავტომობილის აფეთქების შედეგად ერთი პოლიციელი დაიღუპა და ორი დაიჭრა. დაღუპულნი არიან ავტომობილში მსხდომი ადამიანებიც. ჯერ ჯერობით მათი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან აფეთქების სიმძლავრემ ეს ადამიანები ნაკუწებად დაშალა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. მდინარის ჩქერებიანი მონაკვეთი; 3. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 4. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 5. გაწმენდილი ნატეხი შაქარი; 6. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 7. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 17. კინემატოგრაფისტთა პრემია; 18. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე.

**თარაზულად:** 1. ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 3. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 8. საბადოდან ტორფის ამოსაღები ექსკავატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა, დესპოტიზმი; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 19. სომხური ცეკვა; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. სავაჭრო ობიექტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პასტორი; 3. დელიბი; 8. ქაბაბი; 9. რური; 14. „ოტელო“; 15. კამერა; 17. ნიაზ; 20. რეალია; 22. ტვინი; 23. ფიორდი; 25. კიი; 26. არვე; 27. ეჭვი; 28. იტალომანი; 29. ამია; 30. პინა; 31. პირამიდა.

**შვეულად:** 1. პური; 2. ინა; 3. დედააზრი; 4. ბი; 5. ფავორიტი; 6. დასი; 7. პირუეტი; 10. რეტი; 11. კარნავალი; 12. კონკორდი; 13. ფარა; 16. მაყალი; 18. ჭინჭარი; 19. ეფენდი; 21. ირემი; 24. დვირი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კვირა; 2. ტარ; 3. კავალკადა; 4. აგვისტო; 5. შტატი; 6. რელიქტი; 7. ქუსლი; 8. პლანეტა; 9. იო; 10. ბანი; 11. რძე; 12. ადიაბატა; 13. იმპერიალი; 14. აგნი; 15. კურო; 16. სერ; 17. დია; 18. ოე; 19. კურარე; 20. კავენდიში; 21. ირაო; 22. აკვედუკი; 23. იმერეთი; 24. ქარგალი; 25. ქურუმი; 26. არკებუზი; 27. რემისია; 28. რომ; 29. ოდინი; 30. სიმინდი; 31. სამოთხე.

**სურათებზე:** მალუ მადერი; ერიკ აბიდალი.

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ევგენი ბარათაშვილი, ძმები მუხრან და მამუკა, დები ნინო და ხათუნა ბაგრატიონები, რძლები მაია მაღალაშვილი, ეკა ჯავახიშვილი, სიძეები დიდრო ახალაია, მამუკა კარანაძე, გაგა ნუცუბიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

პანაშვიდი: 17, 18 სექტემბერს, 17 საათზე, თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, VII კორპუსი, ბინა 48.

გამოსვენება: 19 სექტემბერს, 14 საათზე, ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრიდან.

---

ძმისშვილები გიორგი, თეონა და ლაშა ბაგრატიონები ოჯახებით, გიორგი, სანდრო და თამარ ბაგრატიონები, დისშვილები ლევანი, ნათია, ნანა, ნატალია ახალაიები ოჯახებით, თამარი, თათია, თეო ახალაიები, თამთა ნუცუბიძე, რევაზ კარანაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

---

ძმისშვილები გიორგი, თეონა, ლაშა ბაგრატიონები, რძლები თამარ საბახტარიშვილი, ნინო სვანიშვილი, სიძე დავით ბერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

---

მანანა ნანიტაშვილი-ბახტაძე იუწყება მისთვის საყვარელი მამიდაშვილის

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას.

---

ევგენი ბარათაშვილს თანაუგრძნობენ ძმა იოსები, და მარინე, რძალი დალი, ძმისშვილები თამარ და ირაკლი ბარათაშვილები მეუღლის

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალების გამო.

---

დევი, თამარ, თინა ბერიძეები იზიარებენ მუხრან ბაგრატიონის ღრმა მწუხარებას საყვარელი დის

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

დევი, თამარ, თინა ბერიძეები იუწყებიან

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ევგენი ბარათაშვილს საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ ქადაგიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ზურაბ ქოქოლაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

თინათინ შიუკაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

რევაზ ჯაფარაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ჯემალ და დავით საღინაძეების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ალექსანდრე იაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

დავით ანდრონიკაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „თერგი I“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს კორპორაცია „კოლხას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „TLG“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „BLG“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ირინე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---



## ალვასი სილაგავას გახსენება

ბრძენს უთქვამს: „ცხოვრებას რომ მეგობარი გამოაცალო, ეს იგივეა, რომ დედამიწას მზის სხივი წაართვაო“. ძალიან დამაკლდი, ჩემო ალვასი. ძვირფასო მეგობარო. იმ დღიდან, რაც სამუდამოდ წახვედი ამ სამზეოდან, სიცარიელესა და სიცივეს ვგრძნობ. ასე მგონია, თითქოს გულის მთავარი ძარღვი ჩამწყდა. მომაკლდა შენი სითბო, მშვიდი, თბილი ხმა. შენ ხომ სიყვარულისა და სიკეთისთვის არსებობდი.

წახვედი...

თან გაიყოლე ჩვენი გულები.

ორმოცი დღეა, უშენოდ ვართ. შენი შვილების, შვილიშვილების, სიძის თვალებში სევდა ჩასახლდა, მძიმე სევდა. შენს დიდ ოჯახში დიდმა ტკივილმა დაისადგურა.

შენმა გარდაცვალებამ დაამწუხრა შენი აღზრდილები. შენ ხომ პედაგოგის რთული და საინტერესო გზა ღირსეულად განვლე. უშურველად გასცემდი ცოდნასა და გამოცდილებას.

დაე, ჩვენი ტკივილიანი მოგონება ნათელ შუქად გეფინოს სამუდამო სასუფეველში.

*მზია კიწმარიშვილი*

---



## ჩვენი ჯონდო!

„ბოლოს კი დგება ჟამი, როცა თავს შეგახსენებს სიკვდილი; ზედიზედ გეცლებიან თანამედროვეები“

*სომერსეთ მოემი*

უდიდესი ტკივილი დაატყდა თავს ჩვენს სამეგობროს. უეცრად გამოგვეცალა ხელიდან ჩვენი საძმოს უსაყვარლესი წევრი; კეთილშობილებით, სიკეთით, ერთგულებითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნება ჯონდო (ჯონი) იმნაძე.

ძნელია მასზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ ასეთი ყოფილა უფლის ნება. ჯონდო პირუთვნელად, უანგაროდ გასცემდა უდიდეს სიყვარულსა და სიკეთეს ყველაზე, სადაც ხელი მიუწვდებოდა. ასეთი იყო ჩვენი უახლოესი მეგობარი და „თანამესანგრე“, „კინტიკარელთა“ საძმოს ღირსეული წევრი.

ათასგვარ მიზეზს მოძებნიდა, რათა თავისი სამეგობრო ერთად ეხილა და ლამაზი სუფრა გაეშალა. ახლაც თითქოს კვლავ ყურებში ჩაგვესმის მის მიერ ნამღერი „შინმოუსვლელო“ და „ნენა, ნენა“, რომელიც მისი გადმოცემით, ახალგაზრდობაში მისმა უსათნოესმა მეუღლემ, ნაზიკომ ასწავლა.

წავიდა ჩვენგან ჩვენი ჯონდო, პურადი, მუდამ სხვაზე მზრუნველი, ყველას ტკივილის გამზიარებელი, მეგობრების დამაკავშირებელი, ღიმილიანი კაცი და დაგვიტოვა დიდი ტკივილი და სევდა, რისი მონელებაც, ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება ოჯახს, სამეგობროს, სამეზობლოს და მთლად საზოგადოებას, ვინც მას იცნობდა.

*უახლოესი მეგობრები*

---

მეუღლე ოთარ დოლიძე, შვილები თემურ და გია დოლიძეები, შვილიშვილები თეონა, მამუკა, ჯაბა, თეკლა დოლიძეები, და ჯენეტი ნინუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანჟელა ანტონის ასული ნინუა-დოლიძე**

პანაშვიდი: 17, 18 სექტემბერს, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 43.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 19 სექტემბერს, 14 საათზე. ვაკის სამების სახელობის ეკლესიიდან.

---



ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, კლინიცისტი და პედაგოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი,

**ეთერ ბოცვაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სოფო ხოსიტაშვილი, გია ფალავა, ვახტანგ გაჩეჩილაძე, ოთარ ურუშაძე თანაგრძნობას უცხადებენ დათო დოლიძეს დედის

**თამარ დოლიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა რუსიკო ჭითავა, ძმა ჯონი, მამიდები გულნარა, ვიოლა, დეიდა მზია, ბიძები მიტო ჭითავა, ვაჟა შენგელია, ომარ გამცემლიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ილია (ილო) ანზორის ძე კოპალიანი**

დაკრძალვა: 17 სექტემბერს, 15 საათზე.

მისამართი: გლდანის IV მიკრორაიონი, კორპუსი 96ბ, ბინა 106.

---

იოსებ და ანდრო შენგელიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი ბიძაშვილი

**ილია (ილო) ანზორის ძე კოპალიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯემალ ლეთოდიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა საყვარელი მამიდაშვილი

**ილია (ილო) ანზორის ძე კოპალიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

კახა და კობა კოპალიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი ბიძაშვილი

**ილია (ილო) ანზორის ძე კოპალიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნაირა და ჯუმბერ ნაჭყებიები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი მამიდაშვილი

**ილია (ილო) ანზორის ძე კოპალიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

---

# TV პროგრამა

**სამშაბათი**
**17 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "ღვინო" **09.00"10.00"12.00"16.00"20.00** "მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ "**მე და კატერინა**" (ალბერტო სორდი) **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00 ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**ტორპედო**" – "**დილა**"(პ/ტრ) **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **00.40** დ/ფ "კატასტროფა ანდებში"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00, 14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25** სერ. "**ცივი გული**" **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40, 15.05** კონცერტი: "სუხიშვილები" **2** ნაწილი **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაული**" **1** სერ. **20.50** სერ. „**სილა**" **2** სერია **21.50** ახალი ქართული ხმა – I სეზონის საუკეთესო ნომრები **23.30, 00.40** მხ/ფ „**უკვდავები: ღმერთების ომი**" (მ. რურკი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ოქროს ობობა**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **10.55** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **11.20** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**განაჩენი**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.40** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.45, 23.40** ფოტოგალერეა **13.50** დოკ/ფ "გზა" II სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - გიგო გელოვანის სახ. ხალხური მუსიკის ფესტივალი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ "**მოდის მატარებელი**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **23.45** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**ოქროს ობობა**" II ნაწ. **02.00** ირაო

**7.00, 0.45, 3.00, 4.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.30, 9.15** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10,00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.15** სერიალი "**ღრუბლებს მიღმა**"(გამ.) **11.00, 12.50, 17.30, 1.15, 3.30, 6.15** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **16.00** სერიალი "**ღრუბლებს მიღმა**" **17.45, 21.30, 0.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" **19.00** სერიალი "**ასი**" **21.45** სერიალი "**დიდებული საუკუნე**" **23.00, 1.30, 4.00** "კინო მაესტროზე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6563

ევრო — 2,2011

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6194

100 რუსული რუბლი — 5,0589

## ამინდის პროგნოზი 17 სექტემბრისთვის




## „მის ამერიკის“ ტიტულის მფლობელი ინდოელი გახდა



პირველად შეერთებული შტატების ისტორიაში, „მის ამერიკის“ ტიტულის მფლობელი ინდოელი ნინა დავალური გახდა. 24 წლის გოგონა ლამაზმანი კონკურსში ნიუ იორკის შტატს წარმოადგენდა.

„ასოშეიტედ პრესის“ ინფორმაციით, ინდური წარმოშობის გოგონამ კონკურსზე კლასიკური ბოლივუდური ცეკვა შეასრულა.

გვირგვინის გარდა, გამარჯვებულს 50.000 დოლარიც გადაეცა, რომელიც შეუძლია სწავლაში დახარჯოს. მას სურს, რომ ექიმი გახდეს, როგორც მისი მამა.

მეორე ადგილი დაიკავა ჩინური წარმოშობის კალიფორნიის წარმომადგენელმა კრისტალი ლიმ, ხოლო მესამე ადგილზე ოკლაჰომელი კელსი გრისვოლდი გავიდა.

შოუში 53 კონკურსანტი მონაწილეობდა. კონკურსმა 6 წლის განმავლობაში პირველად შეიცვალა მასპინძელი ქალაქი და ლას ვეგასის ნაცვლად, ამჯერად ატლანტიკ სიტიში გაიმართა.

„მის ამერიკის“ ტიტულის მფლობელთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“, მომხმარებელთა დიდი ნაწილი პროტესტს გამოხატავს.

მომხმარებელთა ნაწილი რასისტული შინაარსის პოსტებს აქვეყნებს. ისინი აღნიშნავენ, რომ „ეს ამერიკაა“, ნინა დავალურს კი „არაბს“ და „ტერორისტს“ უწოდებენ.

„ეს ამერიკაა და არა ინდოეთი“.

„ვფიცავ, მე არ ვარ რასისტი, მაგრამ ეს ამერიკაა“.

„გილოცავთ ალ-ქაიდა. ჩვენი მის ამერიკა ერთ-ერთი თქვენგანია“.

„მის ამერიკა ტერორისტია“.

„რანაირად იგებს უცხოელი მის ამერიკას? ის არაბია!“

მოამზადა
გერა მამულაშვილმა


## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები






მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## კალათბურთელები მინისტრს შეხვდნენ



საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრები 14 სექტემბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს – ლევან ყიფიანს სამინისტროში შეხვდნენ.

შეხვედრის ინიციატორები თავად ნაკრების კალათბურთელები იყვნენ, რომლებმაც მინისტრთან საუბარი ბოლო დღეებში კალათბურთის ფედერაციასა და სამინისტროს შორის არსებული დაპირისპირების და არსებულ მდგომარეობაში გარკვევის მიზეზით ისურვეს.

მინისტრი კალათბურთელებს შექმნილი სიტუაციის შესახებ ესაუბრა და სამინისტროს მხრიდან სრულ მხარდაჭერას დაპირდა, ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა კი განაცხადეს, რომ მათ მიერ მოსმენილი ინფორმაცია თითქოს სამინისტროსა და ფედერაციის შორის არსებულმა უთანხმოებამ, სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული გუნდის თამაშზე იქონია გავლენა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ლევან ყიფიანთან შეხვედრას ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი შერმადინი, ნიკა მეტრეველი და ბესიკ ლეჟავა ესწრებოდნენ.

მ. ჟ.

## მოსკოვში ფიროსმანის ნამუშევრები ვერ გამოფინეს

რუსეთის დედაქალაქში ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა ვერ მოხერხდა, რით გამოც ექსპოზიცია ჩაიშალა.

როგორც რუსული პრესა იტყობინება, გამოფენა პერსონალური უნდა ყოფილიყო და ექსპოზიციაზე ორგანიზატორები ისეთ ნამუშევრებს გამოფენდნენ, რომლებიც ქართულ საზოგადოებას არ უნახავს.

გამოფენის ორგანიზატორის, კულტურული ფონდის, „არტქრონიკის“ ხელმძღვანელის შალვა ბრეუსის თქმით, ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენას მოსკოვში ქართულმა კანონმდებლობამ შეუშალა ხელი.

– ცოტა ხნის წინ საქართველოში მიიღეს კანონი, რომლის თანახმად ხელოვნების ნიმუშების გატანა იმ ქვეყანაში, ვისთანაც სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთო-



ბა არ აქვს, აკრძალულია. სწორედ ეს გახდა ამ გამოფენის ჩაშლის მიზეზი. მიუხედავად ამისა, ამ პროექტის განხორციელებაზე ფიქრს არ შევწყვეტ და აუცილებლად განვახორციელებ, – განუცხადა შალვა ბრეუსმა რუს ჟურნალისტებს.

მისივე თქმით, უახლოეს მომავალში, იგი ფართო საზოგადოებისთვის ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენის მოწყობას არა მარტო მოსკოვში, არამედ თბილისსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებშიც აპირებდა.

– ამ გამოფენაზე უნდა გამოფენილიყო როგორც საქართველოში დაცული, ასევე კერძო კოლექციებში არსებული ნამუშევრები, რომელიც საქართველოში დამთვალიერებელს არასოდეს უნახავს. არც იმას დავმალავ, რომ ფიროსმანის რამდენიმე ნახატს პირად კოლექციაშიც ვფლობ. მათ შორისაა ნამდვილი შედევრი „თბილისელი ვაჭრების სადილი გრამაფონთან“, – აღნიშნა შალვა ბრეუსმა

შალვა ბრეუსი საქართველოში დაბადებული 56 წლის მულტიმილიონერია. ის რუსეთში მასშტაბური არტპროექტებით არის ცნობილი. მასზე ისიც არის ცნობილი, რომ დაინტერესებულია თანამედროვე ხელოვნებით, თუმცა გამოცემა „ფორბსის“ ინფორმაციით, სხვა მილიონრებისგან განსხვავებით, კოლექციონერობა ნაკლებად იზიდავს. ამჟამად შალვა ბრეუსი ხელოვნების მენეჯმენტით არის დაკავებული.

ეკა ირემაშვილი

## ასტროპროგნოზი 17 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ფრთხილად იყავით!

**ვერძი** – ნუ ენდობით უცხო პირებს, მოგატყუებენ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – დღეს საქმე კარგად წაგივათ. **ქალწული** – სახლში დიდი სიხალისეა. **სასწორი** – ფული გაქვთ, მეტსაც იშოვით. **ღრიანკალი** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** – კარგად დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თხის რქა** – ახალ მწვერვალს დაიპყრობთ. **მერწყული** – მეგობრებს შეხვდებით და კარგად გაერთობით. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ომის მოწინააღმდეგე; 2. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 3. ქართული მინარალური წყალი; 4. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 5. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. სახელმწიფო ევროპაში; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. ფოროვანი, სამშენებლო მინერალი; 16. უნივერსიტეტი პარიზში; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. გერმანიის დედაქალაქი; 21. ევროპის და აზიის კონტინენტების გამყოფი ქედი; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი.

**თარაზულად:** 6. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 7. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 8. ცხოველის ტანზე ამომწვარი დამღა; 9. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 10. ფინური ელექტროტექნიკური კონცერნი; 13. ტერიტორიული ერთეული; 15. მოძრავი კიბე; 18. ძველი გერმანული ტომი; 20. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერას თეატრის პროექტის ავტორი; 23. შტატი აშშ-ში; 24. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ალექსანდრე ყაზბეგის იუბილე სტეფანწმინდაში აღნიშნეს



ცნობილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 165 წლის იუბილე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით დაბა სტეფანწმინდაში აღინიშნა. საიუბილეო ღონისძიებას კულტურის მინისტრის მრჩეველი ქარუმ წერეთელი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი შალვა ელაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგის საზოგადოების წევრები და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

როგორც საიუბილეო საღამოზე ითქვა, ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში. სტეფანწმინდაში აღზრდილმა მწერალმა ქართველი მკითხველისთვის კიდევ უფრო ნათელი გახადა მთის ყოფა და პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ მწერალმა პანსიონშიც ისწავლა, კლასიკურ გიმნაზიაშიც და მოსკოვის სამეურნეო აკადემიაშიც, სამშობლოში დაბრუნებულმა მწყემსობა გადაწყვიტა, რითაც ახლობლები გაანაწყენა. მეცხვარეობა მწერალს დაეხმარა კიდევ უფრო ახლოს გაეცნო მოხევეთა ყოფა, გლეხი ხალხის სატკივარი, მეფის ხელისუფალთა და ხალხის ურთიერთობა. მოგვიანებით მწერალი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. სწორედ მაშინ დაიწყო აქტიური მოღვაწეობა ქართულ მწერლობასა და თეატრში. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „მოჩხუბარიძე“, თეატრალური ფსევდონიმი კი – „მოხევე“. პირველი მოთხრობა „ციცკა“ იყო, რომელიც გამოქვეყნდა. იგი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასა“ და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. „დროებაში“ დაბეჭდილმა „ელგუჯამ“ ალექსანდრე ყაზბეგს დიდი მწერლის სახელი მოუპოვა. მას მოჰყვა მოთხრობები და რომანები „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ციკო“, „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“. იგი ქართული კრიტიკული რეალიზმის მიმდევრად და ქართველი „სამოციანელების“ ტრადიციათა გამგრძელებლად არის მიჩნეული.

ის კარგად იცნობდა საქართველოს მთიანეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, რაც წარმოჩნდა მის როგორც მხატვრულ, ისე ეთნოგრაფიულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. მწერალი ილაშქრებდა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მწერლის ხალხურობით აღბეჭდილი შემოქმედება ემყარება მთაში გაბნეულ ლეგენდებს, თქმულებებს, ნამდვილ ამბებს. მის თხზულებებს აქტუალობა მიანიჭა მწერლის ტენდენციამ – გულისტკივილით აღეწერა ჩაგრული ერების ყოფა. მისი თვალთახედვა არ შეჩერებულა მხოლოდ ხევის ცხოვრებაზე. ბურჟუაზიული წყობის და მორალის მომძლავრება განსაკუთრებით ჩანს ქალაქური ცხოვრების ფონზე, როცა ადამიანთა ურთიერთობას წარმართავს ეგოისტური ზრახვა. ყაზბეგმა ვაჟა-ფშაველასთან ერთად ახალ ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა მთის თემა. მას ეკუთვნის აგრეთვე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, დაუმთავრებელი მოთხრობები, ლექსები და პოემები. მწერალმა ქართულ კრიტიკულ რეალიზმს მასშტაბურობა შესძინა, XIX საუკუნის ქართული მწერლობა ახალი წახნაგებით გაამდიდრა.

ალექსანდრე ყაზბეგი მძიმედ დაავადდა, ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც იწვა, სადაც 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. მწერალი მშობლიურ სტეფანწმინდაში დაკრძალეს. ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 165 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში დაიგეგმა ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი, ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენა, ლიტერატურული ნაწილი, რომელიც მწერლის ნაწარმოებების კითხვას დაეთმო. საღამოში მონაწილეობდნენ როგორც საგანგებოდ მიწვეული, ასევე ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივები. ღონისძიების დასასრულს გაიმართა დოღი. საიუბილეო ღონისძიება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.

ეკა ირემაშვილი

ლურჯი წითელი ყვითელი შავი